

472  
1966  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
ბიბლიობათა და ინსტრუქციათა



# ЗКОДУЛ СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

2

0000000000

თბილისი—1966

რედაქტორი უშ. თბოლაძე  
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კპპ.

წელმოწერილია დახმარებული 11/III-66 წ. ანაწყობის ზომა  $6 \times 9\frac{1}{2}$ ,  
ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ . სასტამბო ფორმითა რაოდენობა 9,75.

ტირაჟი 5000.

ფა - 00713

ფასი № 232.

თბილისის სტამბა № 11 უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19  
თბილისკая типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19

ხადართვილოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-  
გისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც-  
ნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიის  
ხადართვილოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუ-  
მის დადგენილება

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი სკოლის  
მუშაობის დადგებითი გამოცდილების შესახებ

28 დეკემბერი, 1965 წელი

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი სკოლის  
გარევიული დადგებითი გამოცდილება აქვს მოპოვებული მუშა ახალ-  
გაზრდობის სწავლა-აღზრდისა და მათი კულტურულ-ტექნიკური  
დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და  
პროფესიონალის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენერი:

1. მოწონებულ იქნეს ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მე-  
ორე ცვლიანი სკოლის მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული სკო-  
ლა გამოცხადდეს საყრდენად ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიო-  
ნის საღამოს (ცვლის) სკოლებისათვის.

2. ქ. რუსთავის განათლების განყოფილებამ (ამხ. ს. როსნაძემ) ყოველწლიური შეუწყოს ხელი ცვლიან სკოლას სასწავლო-მატერია-  
ლური ბაზით შემდგომ განმტკიცებაში.

3. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამსართვე-  
ლომ (ამხ. ალ. კვაჭაძემ) აღნიშნული სკოლის სასწავლო-მატერია-  
ლური ბაზის განსამტკიცებლად გამოყოს 2000 ბანეთი.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მიღწეული წარმა-  
ტებებისათვის რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი  
სკოლის დირექტორი ქ. ჯოლია და მათემატიკის მასწავლებელი  
ა. პეტრენჯო დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სა-  
მინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.  
სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნ. გარმიზა, მასწავლებლები

ა. ხარებავა (ქართული ენა და ლიტერატურა), ვ. გრეიფერი (ისტორია), ა. ტიურინა (გეოგრაფია) და ე. შუბითიძე (ქიმია) დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშავთა პროფესიურის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

5. განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, საღამოს (ცვლის) სკოლების რესპუბლიკურმა მეთოდებინერმა, გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ მეტი აღვილი დაუთმონ თავიანთ მუშაობაში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის დადებითი გამოცდილების პოპულარიზაციას.

6. ქ. რუსთავის საღამოს მეორე ცვლიანი სკოლის მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი გამოცდილების განზოგადების მიზნით დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებს, საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებს.

7. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამნ. რ. კანდელაქმა) თვალყური აღევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების განათლების, უმაღლესი სკოლისა მინისტრი თ. ლაშქარაშვილი და სამეცნიერო დაწესებულებების მუშავთა პროფესიურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ჩალლაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს  
 პ. გ. ლაშქარიაშვილს

საღამოსა და დაუსწრებელი  
 სკოლების სამმართველოს

მოხსენებითი გარატი

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი ზოგადსაგან-  
 მანათლებლო სკოლის მუშაობის დაღებითი გამოცდილების  
 შესახებ

მიმდინარე წლის 9-დან 12 დეკემბრამდე განათლების სამინის-  
 ტოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრი-  
 გაღამ, ამავე სამმართველოს უფროსის რ. კანდელაკის, უფროსის  
 მოადგილის ს. დვალის, სასკოლო ინსპექტორების ზ. რატიშვილისა  
 და გრ. ერაძის, მეთოდისტების თ. გოდაბრელიძისა და თ. ბისეი-  
 შვილის შემადგენლობით შეისწავლა ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრ-  
 დობის მეორე ცვლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავ-  
 ლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

გამოიჩვა, რომ აღნიშნული სკოლის ხელმძღვანელობა (დი-  
 რექტორი ქ. ჯოლია, სასწავლო ნაწილის გამეცები ი. გარმიზა და  
 დ. მარწყვიშვილი) და პედაგოგიური კოლექტივი სერიოზულ მუშაო-  
 ბას ატარებენ წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგად-  
 საგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ასამაღლებ-  
 ლად.

აღსანიშნავია, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივიდან  
 ბევრი ხელმძღვანელ სამუშაოზეც დაწინაურდა: გ. გურიელიძე—ქა-  
 ლაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, ა. ხი-  
 ნანიშვილი, ტ. ლაბახუა და გ. დურგლიშვილი—ქალაქის დილის  
 მე-11, 16, 18 სკოლების დირექტორებად, ელ. სიჭინავა—მუშა  
 ახალგაზრდობის 1 სკოლის დირექტორად, ა. ბალაბა—ამავე სკო-  
 ლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში და სხვ.

ქ. ოუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი სკოლა 1953 წელს დაარსდა. ამ დროიდან დღემდე 7 და 8 წლიანი გახდათ ლება მიიღო 920-მა მუშამ, საშუალო განათლება კი—1465-მა ახალგაზრდამ. სკოლის აღზრდილთაგან ბევრმა გამოიჩინა თავი ბეჯითი სწავლითა და შრომით; ასე მაგალითად, არჩილ ძაბაშვილს, რომელიც დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტზე, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა აგრეთვე ვარდაშ კობერიძეს. კურსდამთავრებულთა შორის გამოიჩინიან აგრეთვე პავლე გაჩეჩილაძე—მეტალურგიული ქარხნის უნივერსიტეტის, დაღაშ ბაკურაძე—მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური სამეცნიეროს პარტიული ბიუროს მდივანი, ივანე ჩერნენკო—საგლინავი სამეცნიეროს კომუნისტური შრომის ცვლის უფროსი.

აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი წარმატებით ავტომატიკის სწავლას ჩეცნი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში: მიხეილ ჩიტოშვილი (ბაუმანის სახელობის ინსტიტუტი), პეტრიკოვი და ა. კორინცევი (ქ. მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტი), გ. ვიშნიაკოვი (ქ. მოსკოვის სამეცნიერო ინსტიტუტი), ვ. ნაცვლიშვილი და გ. აბესაძე (ქ. მოსკის სამედიცინო ინსტიტუტი), გ. მერკვილაძე, გ. ფირცხალავა, ე გორგიშვილი და რ. მათევილი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ა. მოსიძე (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ვ. ანდრონიკაშვილი (ქ. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი) და სხვ.

მიმდინარე სასწავლო წელს ქ. ოუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანმა სკოლამ გადაჭარბებით შეასრულა სწავლებაში კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა: ნაცვლად გათვალისწინებული 580 მოსწავლისა (26 კლასით), 5 სექტემბრის მდგომარეობით სწავლობდა 626 ახალგაზრდა. ამჟამად კი ეს რიცხვი 635-მდეა გაზრდილი.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივი: 635 მოსწავლიდან სკეპ წევრია 32, 272 კი—საკ ალკე წევრი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ყველა საგანში ასწრებს.

ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი და მისი აკადემიური წარმატება; ასე მაგალითად, 1962/63 წელს სწავ

ლობდა 447 ახალგაზრდა; სასწ. წლის ბოლოს აკადემიური მოსწოდება რება იყო 82; 5%, 1963/64 წელს - 529; აკადემიურმა მოსწოდება შეაღვინა 83, 5%; 1964/65 წელს კი სკოლაში სწავლობდა 539 მოსწავლე, რომელთა აკადემიური მოსწოდება სასწავლო წლის ბოლოსათვის უდრიდა 84, 8%-ს.

მოსწავლეთა კონტინგენტი, რომელიც ზემოხსენებულ სკოლაში სწავლობს, ძირითადად წარმოადგენს მეტალურგიული ქარხნების, ქიმიური კომპინატისა და ხელოვნური ბოჭკოების ქარხნის საწარმოთა მუშებს. პედაგოგიური კოლექტივი ენერგიულად მუშაობს აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელებთან, ადგილობრივ პარტიულ, პროფესიულ და კომერციულ ორგანიზაციებთან მჭიდრო, საქმიანი კავშირის დასამყარებლად. სკოლას ქმედით დახმარებას უწევს მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი ამბ. ს. შარაშენიძე), პარტიული კომიტეტის მდივანი ამბ. ლ. ხარბელია, საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე ამბ. ვ. ქუთელია და აღკვეთის მდივანი ამბ. ვ. ტრაბაძიძე), რომელმაც მას აუშენა ტიპიური სასკოლო შენობა 440 მოსწავლე-ადგილით, შეუძინა ინვენტარი, საჭირო ხელსაწყო-იარაღები ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის და სხვ.

ქარხნის დირექტორის 1963 წლის 23 აგვისტოს განკარგულებით, სკოლის დასახმარებლად შექმნილია მუდმივმოქმედი ხელშემწყობი აფტორიტეტული კომისია ქარხნის დირექტორის მოადგილის თავმჯდომარეობით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავში ამ სახის კომისიები იქმნება არამარტო ქარხნებთან, არამედ, როცა საქმე ამას მოითხოვს, საამქროშიც კი; ასე, მაგალითად მიმდინარე წლის 31 მარტს მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიულობ მოისმინა საკითხი „მუშა ახალგაზრდობის წარმატების შესახებ“. მიღებული დადგენილებით შეიქმნა სკოლის მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისია. გარდა სხვა ხასიათის საქმიანობისა, კომისიები ასეთ მუშაობასაც ატარებენ: ყოველი მეოთხედის ბოლოს სკოლა მათ უგზავნის მუშა-მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ფურცლებს, ისინი მათი აკადემიური მოსწოდების საკითხს იხილავენ თავიანთ სხდომებზე და ატარებენ საჭირო ლონისძიებებს.

სკოლისა და წარმოების ერთობლივი საქმიანობის მისაბად მაგალითს იძლევა აღნიშნული სკოლის პედაგოლექტივისა და მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობის ზრუნვა რვაწლიანი და სა-

შუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასამატებელი ლად. გასულ წელს მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის ინიციატივით, ცალკეულმა საამქროებმა, სკოლის პედკოლექტივის მონაწილეობით, საყოველთაო სავალდებულო რეაწლიანი განათლების ქანონის განსახორციელებლად შეაღვინეს პერსპექტიული გეგმა. ჩატარდა რეაწლიანი განათლების არმქონე მუშა ახალგაზრდობის აღწერა, მათ გაეცნო საღამოს სკოლაში სწავლის პირობები, განისაზღვრა, ვინ რა გზით და რომელ კლასში შესასვლელად მომზადებულიყო და სხვ. აღწერამ საინტერესო, მაგრამ დამაფიქრებელი შედევები გამოავლინა: მეტალურგიულ ქარხანაში 30 წლის ასაკიდე მყოფ 250 მუშა ახალგაზრდას არ აღმოაჩნდა 8-წლიანი განათლება. მათ შორის 8-წლიანი განათლება არა აქვს 20 წლამდე ასაკის 50 ახალგაზრდას, 25 წლამდე ასაკის 80-მდე, 25-30 წლამდე ასაკის კი—120-მდე ახალგაზრდას.

წარმოებისა და სკოლის ერთობლივი საქმიანობის დემონსტრაციას წარმოადგენდა მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მიერ ა/ჭ 9. დეკემბერს მეორე ცვლიან სკოლაში ჩატარებული აღკვეთაში კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომა, რომელზეც „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშების—ცვლიანი სკოლის მოსწავლეების—სწავლაში წარმატებისა და საწარმოო მაჩვენებლების შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის მდივანის მოადგილე ამხ. ჯ. ბიჭიკაშვილი, თანამომხსენებით კი სკოლის დირექტორი ამხ. კ. ჯოლია. საკითხმა აზრთა ცხოველი გაცელა-გამოცვლა გამოიწვია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამ სკოლის კურსდამთავრებულმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ძამაშვილმა, მეტალურგიული ქარხნის ელექტრო-სარემონტო საამქროს უფროსმა კ. მეტრეველმა, ქარხნის მოწინავე მუშამ, ხ კლასის მოსწავლემ ი. გოგიბერიშვილმა, განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსმა რ. კანდელაშვილმა და სხვ. სხდომის დასასრულს წარმოების მოწინავე და სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეებს. ნ. გოქაძეს, ნ. ანტონოვს (X კლ.) ა. ფუხაევს, ი. ბუცხრიკიძეს, გ. კურტიძეს, შ. შაბულაშვილს და გ. გასპაროვს (XI კლ.) გადაეცათ ქარხნის კომკავშირის კომიტეტის საპატიო სიგელები.

აღნიშნული სკოლის ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად, თითქმის შეუფერხებლად სარგებლობენ მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებით



შემცირებული სამუშაო კვირით ან შემცირებული სამუშაო დამოუკიდებელი სარგებლობის შესახებ.

უკანასკნელ ხანებში ხშირია მასობრივი სკოლებიდან საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლებლად ახალგაზრდების გადასვლის შემთხვევები. მოსწავლეთა ერთი ნაწილი, აღნიშნული სკოლის პედ-კოლექტივის აზრით, ამ გზას ადგება ვითომდა სკოლის დამთავრების „გაიოლებისათვის“. ამ მიზნით სკოლაში მისული მოსწავლეები არც წარმოებაში მუშაობით გამოიჩინებიან და არც სკოლაში სწავლით. ასეთ მოსწავლეებზე მხოლოდ სკოლისა და საწარმოთა კოლექტივები ვერ ახდენენ სასურველ გავლენას. რუსთავის საღამოს შეორე ცვლიანი სკოლის პედკოლექტივმა გაითვალისწინა ეს გარემოება და ამ მოსწავლეთა, მშობლებთანაც გაშალა მუშაობა, როთაც დადგებით შედევებს. მიაღწია.

საღამოს ცვლიან სკოლას კარგად ეხმარება საქალაქო გაზეთი „სოციალისტური რუსთავი“ (რედაქტორი იმს. გ. გელაშვილი) და მრავალტირაჟიანი გაზეთი „მეტალურგი“ (რედაქტორი იმს. გ. გოგიაშვილი), რომელთა ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა, მათ შორის კრიტიკული ხასიათის წერილები მუშა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე; ასე მაგალითად, გაზეთმა „მეტალურგმა“ გასული წლის ერთ ერთ ნომერში გამოიქვეყნა სტატია სათაურით „რა არის აქ გაუგებარი?“ წერილში მოთხრობილი იყო შემდეგზე: მერვე კლასის ხელმძღვანელმა ქარხნის ერთ-ერთი საამქროს უფროსს მისწერა იმის შესახებ, რომ მასთან მომუშავე ახალგაზრდა—დ. ხშირად არ ესწრებოდა გაკვეთილს და უკვე განთესვის კანდიდატი იყო. იგი თხოვდა მას მიეღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. საამქროს უფროსმა კლასის ხელმძღვანელის წერილი მეტაბელეს გადასცა რეზოლუციით: „გაუგებარია, რა უნდა. შეეკითხეთ და შემატყობინეთო“. გაზეთმა მქაცრად გააკრიტიკა საამქროს უფროსი კლასის ხელმძღვანელის თხოვნისადმი ასეთი დამოკიდებულებისათვის, რაც შემდეგში გაკვეთილი გახდა არა მარტო მისთვის, არამედ მისი სხვა კოლეგებისათვისაც.

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიან სკოლაში საჭირო ყურადღება ეჭცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვის: სკოლის წლიური, პედსაბჭოს ნახევარწლიური და კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები დგება პედპერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარების, საქმიანი სჯისა და ძიების გზით, საღამოს ცვლიანი სკოლის მუშაობის სპეციფიკური პირობების გათვალისწი-

ნებით. ამიტომ სკოლის ხელმძღვანელობისა. და პედკოლექტურის  
მიერ გატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის ღონის-  
ძებანი მოფიქრებული, გააზრებული და მიზანსწრაფულია.

სკოლაში თავიანთი შემოქმედებითი მუშაობით გამოიჩინევიან  
კლასის ხელმძღვანელები ა. პეტრენჯო, ა. ხარებავა, ჯ. ჭარვე-  
ლიშვილი, ვ. გრაიფერი და სხვ.

VIII კლასის ხელმძღვანელი ვ. გრაიფერი სისტემატურად მუ-  
შაობს თავის კლასთან, მას წესრიგში მოყავს კლასის დოკუმენტა-  
ცია (მოსწავლეთა პირადი საქმეები, საკლასო უზრნალები, აკადე-  
მიური წარმატების აღრიცხვის უზრნალი და სხვ). კლასის ხელმძღვა-  
ნელს აქვს ერთი საერთო რვეული, სადაც ყოველ მოსწავლეს ეთ-  
მობა ცალკე ფურცელი. ამ ფურცელზე კლასის ხელმძღვანელს უწე-  
რია: შთაბეჭდილებანი მოსწავლეზე, რა ხასიათის ინდივიდუალური  
მუშაობაა ჩასატარებელი მოსწავლესთან, რა ღონისძიებანი გატარ-  
და მოსწავლის მიმართ და სხვ. ვ. გრაიფერი მოსწავლეთა შემა-  
დგენლობის გულდასმით შესწავლის შემდეგ კლასის ერთ, კველა-  
ზე აქტიურ ნაწილს მიიჩნევს დასაყრდენ ბირთვად, რომელსაც წარ-  
მატებით იყენებს სწავლაში ჩამორჩენილ და უდისციპიპლინო მოს-  
წავლეთა აღსაზრდელად; ასე მაგალითად, მოსწავლე — თ., ხელის-  
კომბინატის მუშა, ცუდად იქცეოდა სკოლაში: უხეშია ეპურობოდა  
ამხანაგებს, მასწავლებლებს, თავილობდა სკოლაში წიგნებისა და  
რვეულების ტარებას და სხვ. მაგრამ კლასის მოსწავლეთა კოლექ-  
ტივმა შესძლო მისი გამოსწორება. მოსწავლე — ა, რომელიც მასო-  
ბრივი სკოლიდან გადმოვიდა, ყოყოჩიბდა, თავი წარმოედგინა გა-  
ნათლებულად, ყოვლის მცოდნედ. თუმცა სკოლაში ხშირად იღებ-  
და „ორს“. მასწავლებელთა და მოსწავლეთა აქტივის მუდმივი  
ყურადღებით მან გააუმჯობესა სწავლა, შეიგნო თავისი ქცევის  
მავნეობა და გახდა ერთ-ერთი მოწინავე მოსწავლე. კლასის ხელმ-  
ძღვანელი ვ. გრაიფერი აბამს მოსწავლეებს საზოგადოებრივ-სასარ-  
გებლო საქმიანობაში, ზრდის მათში შრომისადმი, სასკოლო-საზო-  
გადოებრივი ქონებისადმი პატივისცემას და სიყვარულს.

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიან სკოლაში  
ორი სექტორია — ქართული და რუსული; მასში სწავლობენ ქართვე-  
ლები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, სომხები და  
აზერბაიჯანელები და სხვ. სკოლის ხელმძღვანელობა და პედაგო-  
გიური კოლექტივი ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ მოსწავ-  
ლეთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

აღნიშნულ სკოლაში სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთ  
ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას. ეს საკითხი სპეციალუ-  
რიდ განიხილა პედაგოგიური საბჭოს სხდომაშ, რომელმაც მოისმი-  
ნა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის 0. გუგუ-  
შვილის მოხსენება. სხდომაშე მომხსენებლისა და სიტყვით გამოსულ  
მასწავლებელთა სიტყვებში ხაზი გაესვა იმას, თუ რა ადგილი უნდა  
ეჭიროს ესთეტიკურ აღზრდას ცალკეული სასწავლო დისკიპლინე-  
ბის სწავლებაში; როგორ დავაყენოთ ასეთი აღზრდა სკოლაში მუ-  
სიკალური დილა-სალამოების მოწყობით, კინო-თეატრში კოლექ-  
ტიური სვლით და სხვ. ღონისძიებებით; როგორ გაუმჯობესდეს  
სკოლის შენობის გარევნობა, მისი დერეფნები, საკლასო ოთახები,  
კაბინეტ-ლაბორატორიები და სხვა. ამ მიზნით სასკოლო შენობის  
მოსაწყობად შეიქმნა საერთო-სასკოლო და საკლასო კომისიები,  
რომელთაც სულ რაღაც 8—10 დღის გადაში არსებითად გააუმ-  
ჯობეს სკოლის გარემო (ეზო, შენობა, საკლასო ოთახები, კაბი-  
ნეტ-ლაბორატორიები და სხვ.).

გარკვეული ღონისძიებანი ტარდება მოსწავლეთა ანტირელი-  
გიური აღზრდის მიზნით. წაკითხულ იქნა ლექცია „პავლოვის მოძ-  
ღვრება უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების შესახებ“, მე-  
სინგის ფსიქოლოგიურ ცდებზე, მოეწყო კოლექტიური სვლა მე-  
ტალურგთა კულტურის სახლში და სხვ.

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის ცვლიან სკოლაში ჯერო-  
ვანი ყურადღება ექცევა ცალკეული სასწავლო დისკიპლინების  
სწავლებას.

ენერგიულად მუშაობს ქართული ლიტერატურის მასწავლე-  
ბელი ა. ხარებავა: იგი წინასწარ, გულდასმით ემზადება ყოველი  
გაქვეთილისათვის, შემოქმედებითად გეგმავს გაკვეთილის ყოველ  
მომენტს, ცდილობს, მომზადებული შეხვდეს გაკვეთილზე ყოველგარ  
მოულოდნელობას. მასწავლებელი ა. ხარებავა აღწევს იმას, რომ  
მოსწავლეები ახალ მასალას ძირითადად სკოლაშივე სწავლობენ.  
მასწავლებლის გაკვეთილი საინტერესო და მიმზიდველია მოსწავ-  
ლეთათვის.

მასწავლებელი ა. ხარებავა კარგად უკავშირებს შესასწავლი  
მასალის შინაარსს თანამედროვეობას; ასე მაგალითად, ილია ჭავ-  
ჭავაძის „აჩრდილის“ სწავლების დროს მან მოსწავლეთა ყურადღე-  
ბა გაამახვილა წარსულში ქართველი ხალხის ეროვნულ და სოცია-  
ლურ ჩაგრებაზე, მის უუფლებობასა და ტანჯულ ცხოვრებაზე, პარა-

ლელი გააკლო ჩვენი ხალხის—მუშების, კოლმეურნე გლეხობაზე ინტელიგენციის დღვეანდელ, სოციალისტურ ყოფასთან და გააკეთა სათანადო დასკვნები.

მასწავლებელმა აკ. წერეთლის ლექსის— „ხანჯალს“ გამოკითხებისა მოსწავლეებს მოაგონა მისი დაწერის თარიღი, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა და დაიწყო შესავალი საუბარი მოთხოვბა „ბაში-აჩუქზე“. აქ მასწავლებელმა გააკეთა ისტორიული ექსკურსი და მოკლედ მოუთხრო მოსწავლეებს წარსულში მრავალრიცხოვან უცხო დამყორობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის მიერ წარმოებულ გმირულ ბრძოლაზე; მოაგონა, რომ მტრის შემოსევები ანადგურებდა ხალხს, მის მიერ შექმნილ მატერიალურ და კულტურულ საგანძუროს. ასე გაანადგურა ისტორიის ულმობელობამ ყოფილი ბოსტან-ქალაქი რუსთავი, რომლის ოდინდელ მიწაზე ახლა მხრები გაშალა შესანიშნავმა სოციალისტურმა ქალაქმა; მასწავლებელი ზეჩერდა შაპ-აბასის დროინდელ საქართველოს მდგომარეობაზე და მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილა იმ ეპოქის ქართველი ხალხის ცხოვრების პირობებზე, როდესაც მოლვაწეობდა აკ. ჭერეთელი.

ამ ისტორიული მოთხოვბის შესწავლასთან დაკავშირებით მასწავლებელმა გადაწყვიტა, მოაწყოს ექსკურსია კახეთში.

საინტერესოდ ატარებს გაკვეთილს რუსული ლიტერატურის მასწავლებელი ვ კუდრია. რუსული სექტორის X კლასში შემოწმების დღეს თითქმის ყველა მოსწავლემ იურდა წინა მასალა „О поэме кому на Руси жить хорошо“ Н. Некрасова მოსწავლეებმა ქარგად გადმოსცეს პოემის დაწერის ისტორია და ამონწურავი პასუხი გასცეა, მასწავლებლის მიერ მათ წინაშე ფრონტალურად დასმულ კითხებზე: მასწავლებელმა ქარგად ჩაატარა ახალი მასალის „Кому на Руси жить хорошо!“ ტექსტზე მუშაობა.

რუსული ლიტერატურის მასწავლებელი ი. გუგუშვილი საგნის სწავლებაში ქარგად იყენებს თვალსაჩინოებას. ნ. ვ. გოგოლის შემოქმედების შესწავლის წინ მასწავლებელმა აჩვენა სასწავლო კინოფილმი, რომლითაც მოსწავლეებს მოაგონა მათ მიერ აღრე. VI კლასში შესწავლილი, მაგრამ რამდენადმე მივიწყებული მასალები, ორგანულად დაუკავშირა იგი ახალ, შესასწავლ თემას. მწერლის მთლიანი შემოქმედების შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა კვლავ გამოიყენა კინო-ფილმი მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად.

საინტერესო მუშაობას აწარმოებს ისტორიის მასწავლებელი

გ. გრაიფერი. იგი სისტემატურად მუშაობს საქუთარი იდეურ-პლანიტიური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლები, მის მიერ გადაცემულ ახალ მასალას მოსწავლეები ძირითადად გაკვეთილზევე სწავლობენ. ყველა მოსწავლეს აქვს რევულები, სადაც აღინიშნება საშინაო დავალება, ისტორიული თარიღები, სხვადასხვა, ძნელად დასამახსოვრებელი უცხო სიტყვა და სხვ.

ისტორიის საკითხების ღრმად შესწავლის მიზნით მასწავლებელი ნაყოფიერ კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობას ატარებს: სასკოლო ბიბლიოთეკაში მას ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი საჭირო ლიტერატურა მასწავლებელთ-თვის და მოსწავლეთათვის; ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას მოსწავლეებს აფორმებინებს ალბომებს, ასე მაგალითად, XI კლასის მოსწავლეებმა თემის — „კოლონიური სისტემის დაშლის“ — შესწავლისას გააფორმეს ალბომი — „ხალხების საქმე დაიმიარჯვებს“, რისთვისაც თავი მოუყარეს ვიერტამის, კონგრეს და სამხრეთ როდეზის ამბებთა დაქავშირებულ მასალებს. სკოლაში პერიოდულად ტარდება კონფერენციები სხვადასხვა თემაზე. ასეთი ღონისძიება ჩატარდა თემაზე: „მარქსისა და ენგელსის უკავდავი სახეები“, „ახალგაზრდა ადამიანის მორალური ს.ხე და სხვ.

მასწავლებელი გ. გრაიფერი ისტორიის გაკვერილზე ხშირად იყენებს კინოფილმებს; აწყობს კინო-თეატრებში მოსწავლეთა კოლექტურ სვლებს იურიოული ფილმების სახახვად; ამას წინათ მოსწავლეებმა ნახეს კინოფილმი მეორე მსოფლიო ომისათვის ფაზიზმის მზადებაზე — „ისინი ვერ გაივლიან“, რომლის განხილვაც მოაწყვეს შემდეგში, „ნიურნბერგის პროცესი“ და სხვა. სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა ისტორიის წრე. წრის წევრები აღგენენ რუკებს, ტაბულებს, სქემებს. კარგად არის შედგენილი რუკა-სქემები: „გერმანიის გაერთიანება“, „იტალიის გაერთიანება“ და სხვ.

მასწავლებელი გ. კალმახელიძე IX კლასში მათემატიკის სწავლების ცალკეულ საკითხებს კარად უკავშირებს ცხოვრებას; მან ახალი მასალის — „ირაციონალური როცხვის“. ამსა მონაცემთის გაზომვას დაუკავშირა, რითაც შეტი ინტერესი აღძრა მოსწავლეებში საკითხის შესწავლისადმი. ამათ გარკვეულად გახაპირობა ის გარემოება, რომ იგი მისაწვდომი გახდა თითქმის ყველა მოსწავლისათვის.

მასწავლებელი ი. გარმიშა ფიზიკის სწავლების მჟიდროდ შეატყობინებს საწარმოო პროცესებს. მან მეთერთმეტე კლასში, ნაწევრობის გამტარების სწავლების დროს, სამ ნაწილად უჩვენა კინოფილმი, იგი საჭიროებისას გარკვეულ მასალებთან დაკავშირებით აწყობს ექსკურსიებს საწარმოებში, მოსწავლეებს დაამზადებინა თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღები და სხვ.

მასწავლებელი ე. შეჩითიძე გონივრულად იყენებს მოსწავლეთა პრაქტიკულ გამოცდილებას თეორიული მასალის სწავლებისას; ასე, მაგალითად, როცა იგი მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს აცნობდა „სინთეზური ბოჭკოს კაპრონის თვისებებს, მიღებას და გამოყენებას“ სინთეზური ბოჭკოების ქარხნის მუშას, მოსწავლე კ. ჯ.-ს კლასისათვის მოათხრობინა შემდეგი: კაპრონის ბოჭკო მიიღება კაპროლაქტამისაგან; ამ უკანასკნელის, მისალებად რუსთავის ქარხანა გროჩნილან იღებს ფენოლს, რომელიც იძლევა ანონს; ანონისაგან მიიღება ჰიდროგენილამონსულფატი და შემდეგ ლაქტამინი წყალხსნარი; წყალხსნარის აორთქლებით მიიღება კრისტალური კაპრონი. წარმოებაში ლითონის შემცვლელი. ამ თემის შესწავლასთან დაკავშირებით მასწავლებელმა ე. შუბითიძემ მოაწყო საწარმო ექსკურსია სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში და უჩვენა აგრძელებული კაპრონის ბოჭკოს წარმოების შესახებ.

ამგვარად გამოიყენა მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამჭროს მუშის ი. ლ-ს საწარმოო გამოცდილება მასწავლებელმა მოსწავლეთათვის ფოლადის წარმოების ახსნისას. მოსწავლემ მოუთხრო ამხანაგებს, რომ მსოფლიოში პირველი მარტენის ლუმელი საფრანგეთში ააშენა პ. მარტენმა 1864 წელს. ეს ლუმელი აღნობდა ორ ტონა ფოლადს. რუსეთში 1867 წელს აშენდა პირველი მარტენის ლუმელი, რომელიც აღნობდა 1,5 ტონა ფოლადს, ამგამად კი ჩვენში 500-ტონიანი ლუმელებია. მოსწავლემ კარგად განმარტა ლუმელის გახურების, მასში ჩატვირთვის პრინციპები და სხვ შემდეგ ქარხანაში მოაწყო ექსკურსია, სადაც მოსწავლეები თვალსაჩინოდ გაეცნენ ფოლადის წარმოების რთულ პროცესს

ასევე მოხერხებულად იყენებს ზემოაღნიშნული მასწავლებელი მუშა-მოსწავლე მგლინაცების, ელექტრიკულოსების, მლარაცების, ზეინკლებისა და სხვათა პრაქტიკულ გამოცდილებას.

სკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნასთან პრაქტიკული გამოცდილების შეერთება საშუალებას ძლევებს მოსწავლეებს უკეთ დაუფლონ საწარმოო პროცესებს და შეიმუშაონ რაციონალიზა-

ტორული წინადაღებანი; ასე, მაგალითად, XI კლასის მოსწავლე მ-შ-  
გამოიგონა კონდუქტორის ახალი კონსტრუქცია, რომლის გამოყენ-  
ნებით მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

ქ. რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიან სკოლაში  
დადგებით მუშაობას ატარებენ ქართული ენისა და ლიტერატურის  
(ხელმძღვანელი ნ. ნარეკლიშვილი), რუსული ენისა და ლიტერატუ-  
რის (ხელმძღვანელი ვ. კუდრია), ფიზიკა-მათემატიკის (ხელმძღვანე-  
ლი ა. პეტრენკო), ქიმიის (ხელმძღვანელი ე. შუბინიძე) და ისტო-  
რიისა და საზოგადოებათმცოდნების (ხელმძღვანელი ვ. გრაიფე-  
რი) საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი.

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად აღნიშნულ სკოლას,  
სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებე-  
ბიც აქვს, რომელთა შესახებ სკოლის ხელმძღვანელობას და პედ-  
კოლექტივს გარკვეულად მიეთითა.

ანალიზს რომ ვუკეთებთ ზემოხსნებული სკოლის მუშაობას,  
მოვდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი შეიძლება მივიჩნიოთ საყრ-  
დენ სკოლად. ამასთან დავსძენთ, რომ დღემდე ამ სკოლის მუშაო-  
ბის დადგებითი გამოცდილება შეისწავლეს პედაგოგიკურ მეცნიერე-  
ბათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სათანადო სექტორშა და  
სალამოს (ცვლის) სკოლების რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა, მა-  
გრამ ჯერ კიდევ არასაქმაოდ ხდება მისი პოპულარიზაცია. საჭიროა  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახე-  
ლოვნების ინსტიტუტმა, სალამოს სკოლების რესპუბლიკურმა მე-  
თოდკაბინეტმა, პედაგოგიურმა პრესამ გარკვეული ლონისძიებანი  
გაატარონ ამ მიმართულებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

საქართველოს ხელ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
30 დეკემბრის ბრძანება № 1396

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 16 ნოემბერს მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგარმანათლებლო და ბავშვთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესტრბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომეცვშირულმა და სასპორტო ორგანიზაციებმა, განათლების ორგანოებმა რამდენადმე გაუმჯობესეს ზოგადსაგანმანათლებლო და საბავშვო სასპორტო სკოლების მოწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სოორტული მომზადება.

ამასთანავე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
მოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებაში. ჩესპუბლიკის ბევრ სკო-  
ლაში ფიზიკულ-ტურის გაცვეთილები დაბალ ოუგანიზაციულ და მე-  
თოდურ დონეზე ეწყობა. განსაკუთრებით არად. მაკამაყოფილებლად  
არის დაუყიდებული ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმე სოფლისა და  
ქალაქის სკოლების დაწყებით კლასებში, სადაც ფიზიკულ-ტურის ას-  
წავლიან, როგორც წესი, მარწავლებლები, რომლებსაც საჭირო  
ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ. არის შემთხვევები, როდესაც  
ფიზიკულ-ტურის გაცვეთილების ნ-ცვლად ეწყობა მცადინეობა სხვა  
საგნებში

ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარების გაზრდილ მოთხოვნებს არ შეესაბამება კლასგარეშე სასპორტო მუშაობა. მოელრივ სკოლები ფიზკულტურული კოლექტივები მცირერიცხოვანია, ისეთ წამყვან სახეობათა სპორტის სასამრტო სექციები, როგორიც არის ტანგარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა და სხვ, ორგანიზაციულად

სუსტია. არის ნაკლოვანებანი მოსწავლეთა შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზქულტურულ მასობრივი და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში.

მეტ წილ საბავშვო სასპორტო სკოლებში საქმარისი რაოდენობით არ არის სასწავლო ჯგუფები, რომელიც საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა გეგმაზომიერი მომზადებისათვის. ასეთი სკოლები არ არის რესპუბლიკის სოფლებში.

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებანი არა ზრუნავენ იმისათვის, რომ გააფართოონ საბავშვო სასპორტო სკოლების ქსელი, საშეფო დახმარება გაუწიონ სკოლობის ფიზქულტურულ კოლექტივებს.

საზოგადოებრივ საწყისებზე საბავშვო სასპორტო სკოლები შექმნილი არ არის უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებთან, რომლებიც ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მოამზადონ მოსწავლეთაგან თანრიგოსანი სპორტსმენები.

სუსტად წარმოებს მუშაობა მწვრთნელთა და მასწავლებელთა შემაღენლობის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ფიზქულტურის მასწავლებელთა გადამზადებისათვის. რესპუბლიკის წეტილი წილი ზოგადსაგანმანათლებლო და სასპორტო სკოლები უზრუნველყოფილი არ არის ინვენტარითა და მოწყობილობით, სასპორტო მოედნებით, დარბაზებით, სტადიონებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ ჯეროვნას სამედიცინო კონტროლს, თუ როგორ არის დაუწენებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა. მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, ახალგაზრდობის ჟოველმიზივ განვითარებასა და შრომისათვის მომზადებას საქმაო ყურადღებას არ აქცევს ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაცია.

დადგენილება ავალებს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებებს, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კვშირს.

საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტს, პროფსაბჭოს, რესპუბლიკური ლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლო. და საბავშვო სასპორტო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, აამაღლონ ახალგაზრდებში ფიზიკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსალებელი მუშაობის დონე.

ამ მიზნით საჭიროა გაფართოვდეს საბავშვო სასპორტო სკოლების ქსელი, შეიქმნას საბავშვო კომპლექსური და სპეციალიზებული სასპორტო სკოლები ფიზიკულტურის კოლექტივებთან მსხვილ ქარხნებში, ფაბრიკებსა და ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოებებში.

უნდა გაუმჯობესდეს უმაღლესი სასწავლებლების, სამრეწველო საჭარმოების, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების სპორტული კოლექტივების შეფობა ზოგადსაგანმანათლებლო და საბავშვო სასპორტო სკოლებისადმი. ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენები და ფიზიკულტურული აქტივი. საჭიროა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლების სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის გასაფართოებლად და მოსაწყობად, სკოლის კოლექტივებს უფლება ენიჭებათ დღის საათებში უფასოდ გამოიყენონ სასპორტო ბაზები, სასპორტო ინვენტარი და მოწყობილობა სასწავლო-საწყრთნელი მეცადინეობის მოსაწყობად და რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებისათვის ნაკრები გუნდების მოსამზადებლად. 1966 წლიდან მოეწყობა საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსალებელი ბანაკები, საცხოვრებელი სახლების ეზოებში უნდა შეიქმნას საბავშვო სასპორტო მოედნების მუდმივი ქსელი და უზრუნველყოფილ იქნას იგი საჭირო ინვენტარით. ამ მოედნებზე მასობრივ-ფიზიკულტურული მუშაობის ორგანიზაციაში ჩაბმული უნდა იქნეს მშობელთა აქტივი, სახლმმართველობებთან არსებული ხელშემწყობი კომისიების წევრები.

საქართველოს კომპარტიის რაიკომიებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომიებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ უმარტივესი სასპორტო მოედნების მშენებლობა საზოგადოებრივ საწყისებზე, რათა 1966 წლის ზაფხულის სპორტული სეზონის დაწყებისას თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სოფლის სკოლაში შეიქმნას სასპორტო ბაზები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სასპორტო სამსახური კომიტეტი, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი მოვალენი არიან აამაღლონ ფიზიკურ კულტურაში სასწავლო მეცადინეობის ხარისხი, ფართოდ ჩააბარ ახალგაზრდობა ფიზიკულტურისა და სპორტის მეცადინეობაში, გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლის გარეშე მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტულ გამაჯანსალებელი მუშაობა.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა სკოლა ასრულებდეს „მშთ“ ნიშნოსნების, თანრიგოსანი სპორტსმენების, საზოგადოებრივი ფიზიკულტურული კადრების მომზადების გეგმას. გადაწყვეტილია ყოველწლიურად მოეწყოს დათვალიერება-კონკურსი სკოლებში მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტულ-გამაჯანსალებელი მუშაობის უკეთ დაყენებისთვის; რეგულარულად ეწყობოდეს შეჯიბრებანი სპორტის ცალკეულ სახეობებში, ტურისტული ლაშქრობანი და სხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი.

რესპუბლიკის საბავშვო სასპორტო სკოლებში ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სასწავლო-სპორტული მუშაობა. 1965 წლის ბოლომდე თვითოულ სკოლას უნდა დაუწესდეს სპორტული პროფილი. საბავშვო სასპორტო სკოლებს უნდა მიეცეთ რესპუბლიკის საუკეთესო სასპორტო ბაზები. ყველა სკოლა უნდა განმტკიცდეს კვალიფიციური მწვრთნელებით.

უნდა გაუმჯობესდეს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასკოლო პირველადი ორგანიზაციების მუშაობა, უფრო ფართოდ ჩავაბათ უფროსი კლასების მოსწავლეები თავდაცვის წრეების, სექციებისა და გუნდების მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სროლის სექციების წევრთა სპორტულ მომზადებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ახალი სასწავლო წლიდან ქაღაქების სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ფოთისა და გურჯაანის სკოლა-ინტერნატებში შექმნას სპორტის სხვადასხვა სახეობათა განყოფილებანი; ამ განყოფილებებში თავი მოუყაროს პერსპექტივიან მოსწავლე სპორტსმენებს. საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი მოვალეა აღნიშნული სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებს უფასოდ გადასცეს სასპორტო ბაზები და სპეციალური.



მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე მასწავლებელთა რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ამ კურსების მსმენელთა პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდება რესპუბლიკის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სასპორტო ბაზებში. გადაისინჯება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გადამზადების სასწავლო გეგმა ფიზკულტურისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობის გადიდების მიზნით; სამი წლის განმავლობაში გადამზადება უნდა გაიარონ იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც კვალიფიკაცია არ აუმაღლებიათ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქარაჭო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დასახ. ნ მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, შესაბამის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებთან ერთად:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზიკური აღზრდის საქმეზე, დარაზმონ სკოლის მუშაკები ფიზიკური აღზრდის ამოცანების გარშემო და გადაჭრით აამაღლონ ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დონე; მიაღწიონ იმას, რომ როგორც სასწავლო, ისე კლასგარეზე და სკოლის გარეზე მეცადინეობანი ფიზიკურ კულტურაში მიმდინარეობდეს ორგანიზებულად და მაღალ მეთოდურ დონეზე; სკოლების მუშაობის შემოწმებისას საფუძვლიანად შეისწავლონ მოსწავლეთა

ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა და ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ ფიზიკულტურის მოწინავე მასწავლებლები და სპორტული ორგანიზაციების გამოცდილი მუშაკები.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ და ჰიგიენურ აღზრდას; იქ, სადაც დაწყებითი კლასების ძირითად მასწავლებლებს არ შეუძლიათ საბროგრომ მასალის სწავლება, ფიზიკულტურის გაკვეთილები, არსებული წესის დაცვით, გადასცენ შესაუეოის სპეციალისტებს;

გ) სპორტულ ღონისძიებებში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმის მიზნით გაზარდონ სპორტული სექციების მოსწავლეთა რაოდენობა, მიაღწიონ იმას, რომ ყველა სკოლამ შეასრულოს „მზად ვარ შრომისა და თავდაცვის“ ნიშნოსნების, თანრიგოსანი სპორტ-სმენების, საზოგადოებრივი ფიზიკულტურული კადრების (ფიზორგების, მსაჯების, მწერთნელების და სხვ.) მომზადების გეგმა;

დ) სკოლებში მასობრივ-ფიზიკულტურული და სპორტულ-გამაჯანსალებელი მუშაობის სუკეთესო შედეგების გაერცელება-განზოგადების მიზნით ყოველწლიურად მოაწყონ სათანადო დათვალიერება-კონკურსები, თანახმად არსებული დებულებისა;

ე) მტკიცე კონტროლი დაწესონ და მთლიანად და მაღალ-ხარისხოვნად უზრუნველყონ მასობრივი სპორტული ღონისძიებების (წევიბრებანი სპორტის ცალკეულ სახეობებში, ტურისტული ლაშქრობანი და სხვ.) განხორციელება, სასკოლო-სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შესაბამისად;

ვ) არსებითად გააუმჯობესონ სასწავლო-სპორტული მუშაობა ბავშვთა სპორტულ სკოლებში; განამტკიცონ ეს სკოლები კვალიფიციური მასწავლებლებით და დაუთმონ მათ მეცადინეობისათვის სათანადო სპორტული ბაზები;

ზ) მიიღონ საჭირო ზომები ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საკურსო ღონისძიებებისა და აღგილებზე მოწყობილ სემინარების საშუალებით; გააუმჯობესონ ფიზიკულტურის მასწავლებელთა მეთოდური სასკოლო და რაიონული გაერთიანების მუშაობა; გააცნონ მასწავლებლებს მოწინავეთა გამოცდილება და უახლესი მიღწევები ფიზიკური აღზრდის თეორიის დარგში;

თ) სისტემატურად იზრუნონ ფიზიკულტურის გაკვეთილების ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად; სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები, მოაწყონ კალათ-

ბურთისა და ფრენბურთის, მოძრავ თამაშობათა და მძლეოსნებულის  
სექტორები; იზრუნონ თითოეული სკოლის უზრუნველსაყოფად  
აუცილებელი სპორტული ინვენტარით;

1) ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციან ერთად გააძლიე-  
რონ სანიტარული ზედამხედველობა, სათანადო ყურადღება დაუთ-  
მონ კერძოდ ფიზკულტურაში მეცადინეობათა ჩამატარებელი ად-  
გილების სუფთად დაცვას, რეგულარულად ჩამატარონ მოსწავლეთა  
სამედიცინო გასინჯვა და სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლე-  
ებისათვის მოაწყონ სამკურნალო ფიზკულტურული მეცადინეობანი  
და ჰიგიენური ტანვარჯაში.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა  
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ მთელი თავისი  
მუშაობა წარმართოს მტკიცე კონტაქტით სკოლების, სკოლა-ინ-  
ტერნატებისა და სპეციალური სკოლების სამმართველოებთან და  
სკოლამდელი აღზრდის განყოფილებასთან. ფიზიკური აღზრდის  
მეთოდურ კაბინეტზე დაყრდნობით.

ა) განყოფილებამ ძირითად ამოცანად დაისახოს მასრბრივი  
ფიზკულტურული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება სკოლებსა და  
სკოლის გარეშე დაწესებულებებში, ფიზკულტურის გაკვეთილებისა  
და ფიზკულტურული ხასიათის სხვა წამყვანი ღონისძიებების ხარის-  
ხის არსებითად ამაღლება, იმის მიღწევა, რომ სკოლებში ფიზ-  
კულტურულ ღონისძიებებში ჩაბმული იყოს მოსწავლეთა აბსოლუ-  
ტური უმრავლესობა:

ბ) სკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების სამმართველოს-  
თან ერთად გაატაროს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა იმ მიზ-  
ნით, რათა 1966—1967 სასწავლო წლის დასაწყისიდან ქ. ქ. ბა-  
თუმის № 3, ქუთაისის № 1, სოხუმის № 4, ცხინვალისა, ფოთისა  
და გურჯაანის სკოლა-ინტერნატებთან სპორტის სათანადო სახეო-  
ბათა მიხედვით გაიხსნას განყოფილებანი; ამასთან პარალელურად,  
საფუძვლიანად შეისწავლოს საკითხი მომავალში დასახელებული  
სკოლა ინტერნატების სპორტულ სკოლა-ინტერნატებად გადაკვეთე-  
ბის შესახებ და ამ სავანზე დასაბუთებული წინადადებანი წარმოუ-  
დგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

გ) 1965 წლის დეკემბრის ბოლომდე კაბიტალური მშენებლო-  
ბის განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი საქართ-  
ველოს ქა ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მი-  
ნისტროთა საბჭოში წარსადგენად სკოლების სასწავლო-სპორტული

ბაზის განმტკიცების, სასკოლო სპორტული დარბაზების, სპორტული მოედნების მშენებლობისა და სხვა საკითხებზე;

დ) 1966 წლის 1 იანვრისათვის დაკომპლექტოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები სპორტის სახეობათა და ასკის მიედგით, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დებულების შესაბამისად; მათი უკეთ მომზადებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისა და სპეცსკოლების სამშართველოსთან ერთად შეისწავლოს და წარმოადგინოს წინადადება ქ. თბილისის ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის გამოყოფის შესახებ (400 კაცის კონტინგენტით), რომლის ბაზაზე მოაწყოს 1966 წლის 1 სექტემბრიდან ნაკრები გუნდების სასწავლო-საჭროთნელი მუშაობა მთელი წლის განმავლობაში, ამასთან მიამაგროს აღნიშნულ გუნდებს რესპუბლიკის წამყვანი მწვრთნელები;

სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისა და მისი მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარებისათვის პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამხ. ამხ ი. ბაცელაშვილსა და ვ. ნ. მერკევილაძეს;

ე) განათლების ადგილობრივი ორგანოებიდან მიღებული მასალების საფუძველზე 1965 წლის დამლევამდე დაუწესოს თვითეულ ბავშვთა სპორტულ სკოლის სპორტული პროფილი;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფიზკულტურული საქმიანობის შემოწმებას სკოლებში ადგილებზე მისვლით და შემოწმების შედეგების განხილვა-განზოგადებას; მტკიცედ გაითვალისწინოს, რომ განყოფილება ვალდებულია ამ შემოწმების შედეგები გამოიტანოს კოლეგიაზე განსახილველად და სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად ყოველ კვარტალში ერთხელ მაინც;

ზ) ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის მეშვეობით და ფიზკულტურული მოძრაობის მცოდნე სპეციალისტების მონაწილეობით დაამუშაოს და დასტამბოს ფიზიკური აღზრდის დარგში სკოლებისათვის აუცილებელი მეთოდური წერილები, მითითებან და სხვა სახის სახელმძღვანელო მასალები.

### 3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში:

ა) ყოველდღიური კონტროლი დაწყესოს გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის კომპლექსის მშენებლობაზე, რათა სამშენებლო ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილ იქნას ამ სკოლა-ინტერნატის სპორტული ბირთვის მშენებლობის დამთავრება 1965 წლის დამლევამდე;

ბ) კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიული გეგმით იმ წელს  
სრების ანგარიშზე, რაც უნდა გამოიყოს მმ დადგენილების შემცირება  
მისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ,  
გაითვალისწინოს სპორტული სკოლების მშენებლობა თბილისის  
თითოეულ რაიონსა და ქ. ქ. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინ-  
ვალში, რუსთავში, ფოთში, ჭიათურაში, იმ ვარაუდით, რომ 1966  
წლიდან ჩესპუბლიკაში ყოველწლიურად გადაეცეს საექსპლოატა-  
ციოდ არანაკლებ ორი სპორტული სკოლისა.

გ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასა და  
მეთოდგაბინეტოან ერთად 1966 წლის იანვრის ბოლომდე განსაზ-  
ღვროს ასაგები სპორტული სკოლების ტიპები, მათი დისლოგა-  
ცია აღნიშნული ქალაქების მიხედვით და აკების კალენდარული  
ვადები.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ და მოსწავლეთა ფი-  
ზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ 1965 წლის დეკემ-  
ბრის ბოლომდე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო სა-  
გეგმო-კომიტეტს განსახილებად წინადადებანი განათლების სამი-  
ნისტროს ბავშვთა სპორტული სკოლების კონტინგენტის 200 ჯგუ-  
ფით გადიდების შესახებ.

5. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების  
ინსტიტუტმა ინსტიტუტის კონტინგენტისა და საბიუჯეტო ასიგნო-  
ბათა ფარგლებში 1966 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად მოა-  
წყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები რეაწლიანი და სა-  
შუალო სკოლების ფიზკულტურის 200 მასწავლებლისათვის და უახ-  
ლოესი წლების ვანმავლებაში უზრუნველყოს ფიზკულტურის იმ  
მასწავლებელთა გადამზადება, რომლებსაც უკანასკნელი ხუთი წლის  
განმავლობაში არ აუმაღლებიათ კვალიფიკაცია.

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ასსრ განათლების  
სამინისტროების კოლეგიების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების გა-  
ნათლების განყოფილებათა საბჭოებისა და საშუალო და რვაწლია-  
ნი სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებშე და მის შესა-  
სრულებლად დაისახოს და გატარდეს სათანადო ღონისძიებანი.

7. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ და უურნალ „სკოლა და  
ცხოვრებამ“ მომავალში თავიანთ ფურცლებზე შეტი ადგილი დაუთ-  
მონ სკოლებში ფიზიკური აღზრდის დარგში არსებული მდგომარე-

ობის გაშუქებასა და ამ მხრივ მოწინავეთა გამოცდილების განზო  
გადებას.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-  
ლეგიის 1965 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
 30 დეკემბრის ბრძანება № 1401

მარნეულის, ბოლნისისა და ღმანისის რაიონების სკოლებში საყოველთაო საგალდებულო 8-წლიანი განათლების კანონის ფაზ ხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა მარნეულის, ბოლნისისა და ღმანისის რაიონების სკოლებში რვაწლიანი განათლების კანონის გატარების მდგომარეობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ გასულ წლებთან შედარებით დასახელებულ რაიონებში უკეთ არის მოგვარებული ამ კანონის განხორციელების საქმე. აღნიშნული საკითხი მარნეულის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში განხილულია 29 ივნისს, ბოლნისის რაიონში საკითხი მოსმენილია რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, დმანისის რაიონში 20 მაისს, სამთავე რაიონში დასახულია სათანადო ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისათვის.

შემოწმებული რაიონების სკოლები სათანადო მუშაობას აწარმოებენ მოსწავლეთა განთევსისა და მეორეწლიანობის თავიდან ასაცილებლად, ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ სკოლას დაუბრუნონ სხვადასახვა დროს განთესილი მოსწავლეები. უკეთ იმუშაონ მეორეწლიანებთან, გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, მოაწყონ სასკოლო ინტერნატები და დანიშნულებისამებრ გამოიყენონ საყოველთაო სწავლების ფონდი. აღსანიშნავია, რომ ბოლნისის რაიონის იმირასანის საშუალო სკოლიდან წლების მანძილზე, (დირექტორი ნ. თომავევი), საჭირო ზომების მიღების შედეგად, არც ერთი მოსწავლე არაა განთესილი.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო განათლების განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება საშივე რაიონში. დიდია სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა. მარნეულის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ი. გაიდაროვი) სკოლებიდან განთესილია 52 მოსწავლე. განთესილთა

კეთილგან დიდი რაოდენობა მოდის კიზილაჯალოს, კაპანაქჩის, სუმღებისა და სადახლოს სკოლებზე. ბოლნისის რაიონის (განათლების განყოფილების გამგე გ. ბურძგლა) სკოლებიდან განთხესილია 35 მოსწავლე, მათ შორის მარტო ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლიდან—16, ხოლო აბდალოს რვაწლიანი სკოლიდან 8 მოსწავლე. დმანისის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ა. მანსუროვი) სკოლებიდან განთხესილია 19 მოსწავლე, მათ შორის დმანისის საშუალო სკოლიდან—6, საფარლოს რვაწლიანი სკოლიდან—7, ამამლოს სკოლიდან—5, ახაიის რვაწლიანი სკოლიდან—4 მოსწავლე. ბოლნისის რაიონის სკოლებიდან 14 მოსწავლე, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 16 წელი, გადასულია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. მარნეულის რაიონში ახლომდებარე რვაწლიანი და საშუალო სკოლების მე-5 კლასებში სწავლას არ აგრძელებს დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებული 14 მოსწავლე. ასეთივე მდგომარეობაა დმანისის რაიონში, აյ სკოლის გარეთაა დარჩენილი 28 მოსწავლე. ზოგჯერ სკოლის მიერ დაბრუნებული ასაკებლივი მოსწავლე კვლავ სტოკებს სკოლას და აღარ სწავლობს.

დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა, 1965—66 სასწავლო  
წლის დასაწყისში მარნეულის რაიონის სკოლებში ირიცხებოდა  
1152 მეორეწლიანი მოსწავლე, ბოლნისის რაიონში—510 და დმა-  
ნისის რაიონში 533 მოსწავლე.

არადამაკუთხოვილებელია სასკოლო ინტერნატების მუშაობა. ეს ინტერნატები უმთავრესად მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში, რომლებიც ვერ პასუხობენ მოთხოვნებს. ღმანისის რაიონში ცხრა სკოლასთან არის სასკოლო ინტერნატები, მათ შორის მხოლოდ ერთი ინტერნატია შესაბამის შენობაში. მარნეულის რაიონში მხოლოდ ორი სასკოლო ინტერნატია, ბოლნისის რაიონში კი— 4. ყველა ინტერნატში როდია სათანადოდ მოგვარებული მოსწავლეთა კვების საქმე. მაგალითად, ღმანისის 9 ინტერნატიდან მხოლოდ 4 ინტერნატშია მოწესრიგებული მოსწავლეთა კვება.

მარნეულისა და ღმანისის რაიონებში დღემდე არ არის შექმნილი საყოველთაო განათლების საგუშავოები და არც იცნობენ ამ საკითხზე განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებას. რომელიც თავის დროზე დაეგზავნა ადგილებს.

ზოგიერთ სკოლაში სათანადოდ არ არის მოწესრიგებული სასკოლო დოკუმენტაცია. მოსწავლეთა პირად საქმეებში, ნაცელდებული ამონაწერებისა, უმეტესად არის მხოლოდ სასოფლო საბჭოების ცნობები (მარნეულის რაიონი), მოსწავლის სკოლიდან სხვა სკოლაში გადასკლა ზოგჯერ არ არის წერილობით დადასტურებული იმ სკოლის მიერ, სადაც ბავშვი გადავიდა.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

#### 1. განათლების განყოფილებებში:

ა) პერიოდული განიხილონ საყოველთაო საგალდებულო განათლების საკითხი განათლების საბჭოების სხდომებზე, მოისმინონ ამ საკითხზე ცალკეული სკოლების დირექტორების ანგარიში და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახონ ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათახადო სიმაღლეზე დაყენებას, განამტკიცონ სასწავლო მატერიალური ბაზა, გაძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა ჩამორჩენისა და მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ;

გ) აკრძალონ : 6 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადასკლა ზოგადსაგანმანათლებლო (დილის) რეაწლიანი და საშუალო სკოლებიდან საღამოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, განათლების სამინისტროს სკეციალური ნებართვის გარეშე;

დ) მკაცრი სასჯელი დაადონ იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას;

ე) სათანადო ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობას, შექმნან იქ სწავლისა და აღზრდისათვის ნორმალური პირობები, ამ საქმეში ჩააბან საზოგადოებრიობა, შორბლები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

ვ) დანიშნულებისამებრ გამოიყენონ საყოველთაო საგალდებულო განათლების ფონდი და საჭირო დახმარება გაუწიონ ხელმოჭლე ოჯახების შვილებს;

ზ) ბოლნისის რაიონში გააუმჯობესოს საყოველთაო განათლების საგუშავოების მუშაობა, ხოლო მარნეულისა და დმანისის რაი-

ონებმა მოკლე ხანში შექმნან ასეთი საგუშაგოები და უზრუნველყონ ყონ მათი ნორმალური მუშაობა მიცემულ მითითებათა საფუძველი;  
 თ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო ღოკუმენტაცია, შეავსონ მოსწავლეთა პირადი საქმეები საჭირო დოკუმენტებით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
 მინისტრი თ. ლაშერაშვილი

საქართველოს სსრ გარდამატების სამინისტროს 1965 წ.  
 30 დეკემბრის ბრძანება № 1402

გარდაბნის რაიონის სართიჭულის მეორე და კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლებში სახწავლო-აღმზრდელობით მუშაობის შემოწმების შედეგების შეხახებ

როგორც სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, გარდაბნის რაიონის სართიჭულისა და კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლების მუშაობაში აღვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

აღნიშნულ სკოლებში ცუდად ისწავლება მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია; არადამაკმაყოფილებელია 1965/66 სასწავლო წლის I მეოთხედის შედეგები განსაკუთრებით V—XI კლასებში. სუსტია შიგა სასკოლო კონტროლი, ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა; ძალზე ღარიბია ახალქალაქის საშუალო სკოლის სასწავლო-შატერიალური ბაზა. სუსტია განათლების განყოფილებათა გამგების ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი დასახელებული სკოლებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გარდაბნისა და კასპის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებებმა (გ. რაზმაძემ, ა. ბეგანიშვილმა):

ა) მოხსენებითი ბარათი სართიჭულის მეორე და ახალქალაქის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) სასწავლო წლის IV მეოთხედში პირადად შეამოწმონ ამ სკოლების მუშაობა, ამასთანავე გააძლიერონ კონტროლი ყველა იმ სკოლაზე, რომელთა კურსდამთავრებულებმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე;

გ) მიავლინონ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე მოხსენენდეთ  
ნებით ბარათში დასახელებული მასწავლებლები, ამასთან სისტე-  
მატურად იზრუნონ მათი პედაგოგიური დახელოვნების ამაღლები-  
საონის.

2. კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაბიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად, 1966 წლის 30 იანვრამდე შეისწავლოს ახალქალაქის საშუალო სკოლის მეორე კორპუსზე მიშენებისა და დაშენების სამუშაოების გაჭიანურების მიზეზები და მასალები განსახილების წარუდგინოს რაიონის ხელმძღვანელობის; მიღებულ ღონისძიებათა შესახებ მიმღინარე სასწავლო წლის 10 თებერვლამდე ეცნობოს განათლების სამინისტროს.

3. გარდაბნის რაონის განათლების განყოფილების გამგემ  
(შ. რაზმაძემ) შეაღვინოს სათანადო დოკუმენტაცია და განათლე-  
ბის სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადებანი სართიჭალის სა-  
შუალო სკოლის სანიტარული კვანძების სამუშაოთა დამთავრების  
შესახებ.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სართიშვილის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ულრელიძეს 1964—65 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ვამოცდების შედეგების განხილვისას მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლის დაწესებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის გამოცხადა საყვედური.

5. საროიფალისა და ახალგაღატის სკოლებზე არადამაგმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს გ. რაზმაძეს და კასპის რაიონის განათლების განვითარების გამგეს ალ. ბეჭანიშვილს მიეთითოთ.

6. გაფრთხილებული იქნეს ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექტორი რ. მალულარია და ახალქალაქისა და სართიჭალის სკოლების დირექტორის მოადგილები სასწავლო მუშაობის დაზგვის 6. ნაზარაშვილი, მ. ირემაძე (ახალქალაქი), ლ. კახიძე და დ. ვაგოშიძე (სართიჭალა), თუ ისინი მკვეთრად არ გარდაქმნიან მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაფიო ზომები.

7. ვაგოლებ სკოლების სამშაროთველოს (დ. ჯავახია) საოთანალო  
ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ გინათლების  
მინისტრი თ. ლაშვარაშვილი

გარდაბნის რაიონის სართიჭალის ॥ და კასპის რაიონის  
 ახალქალაქის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით  
 მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

### მოხსევაითი ბარათი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემოწმდა  
 გარდაბნის რაიონის სართიჭალის ॥ და კასპის რაიონის ახალქა-  
 ლაქის საშუალო სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა.

შემოწმებით გამოიჩინა, რომ გარდაბნის რაიონის სართიჭა-  
 ლისა და კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლები გარ-  
 ჩვეულ მუშაობას ეწევიან საყოველთაო საგალდებულო რვაწლიანი  
 განათლების კანონის განხორციელების, მოსწავლეთა შორის შეგნე-  
 ბული დისკიპლინის დანერგვისა და განმტკიცების, სასწავლო ნივ-  
 თებით და სასკოლო დოკუმენტაციით სკოლების უზრუნველყოფის  
 საქმეში.

მაგრამ ამ სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და  
 სასკოლო ორგანიზაციების მუშაობაში აღვილი აქვს სერიოზულ  
 ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი, რომელსაც აქვს სათანა-  
 დო პედაგოგიური განათლება და საგნებს სპეციალობის მიხედვით  
 ასწავლის, არ მუშაობს შესაძლებლობის მიხედვით, არ ემზადება  
 გაკვეთილისათვის, იშვიათად თუ ეცნობა ახალ მეთოდურ ლიტე-  
 რატურას, არ ატარებს გაკვეთილებზე პრაქტიკული ხასიათის ცდებ-  
 სა და ლაბორატორიულ საშუალებს, ნაჩქარევად, ზერელედ და  
 უხარისხოდ ადგენს გაკვეთილის გეგმებს. არ ზრუნავს მოსწავლეთა  
 წიგნიერებისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის.

სართიჭალისა და ახალქალაქის საშუალო სკოლების მათემა-  
 ტიკის ზოგიერთი მასწავლებელი დაბალ დონეზე ატარებს გაკვე-  
 თილებს. საოთიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ბერი-  
 ძიშვილმა XI კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე „სფეროს“ ახსნის  
 დროს მოსწავლეებს მისცა განმარტება სფეროს ქორდის შესახებ



მაშინ, როცა სფეროს ქორდა არა აქვს. მან მოსწავლეებს გასაცემლად  
ბად ვერ აუსინა, რომ სფეროს კვეთა სიბრტყით წარმოადგენს  
წრეს. კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა გეომეტრიაში. ამ კლა-  
სის 30 მოსწავლიდან საშუალო სიძნელის ამოცანა ამოხსნა მხო-  
ლოდ 10-მა მოსწავლემ. ასევე სუსტი ცოდნა გამოავლინეს დამაზ-  
თავრებელი კლასების მოსწავლეებმა აღგებრასა და ელემენტარულ  
ფუნქციებში. V—VI კლასების მოსწავლეებში (მასწავლებლები ლ.  
ბაკაშვილი, თ. ბერიძიშვილი) დანერგილი არ არის ზეპირი ანგა-  
რიშის ჩვევები. VI კლასის მოსწავლეებმა ვერ შესძლეს ზეპირად  
გამოეანგარიშებინათ  $12 \times 2,5$ -ზე. მათ სუსტად იციან პროცენტები.  
VIII კლასის მოსწავლეებს წერით სავარჯიშოებად მიცემული აქვთ  
რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოღების ისეთი მაგალითები,  
რომლებიც მოსწავლეებმა, როგორც წესი, ზეპირად უნდა გამოიყ-  
ვანონ. ზოგიერთი მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს წერით  
ნამუშევრებს. მაგალითად, VIII კლასში მოსწავლეებს ფესვზე მოქმე-  
დება არასწორად გამოუყვანიათ, მასწავლებელ თ. ბერიძიშვილს  
მათი ნამუშევრები „3“-ზე და „4“-ზე შეუფასებია.

ახალქალაქის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მას-  
წავლებელი დ. მამაცაშვილი) აღგებრასა და გეომეტრიულ ფუნქ-  
ციებში ვერ მოახერხეს პირველი ხარისხის ორუცნობიანი განტო-  
ლების სისტემის გამოკვლევა, მისი გრაფიკული ამოხსნა. ამ სკო-  
ლის მათემატიკის ერთი მასწავლებელი აბ. კალოვი შემოწმებისას  
სულ არ გამოცხადებული სკოლაში.

დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები და მათემატიკის  
მასწავლებლები არ იცნობნ განათლების სამინისტროს ბრძანებებს  
და მითითებებს მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიე-  
ბათა შესახებ.

ახალქალაქის საშუალო სკოლაში სათანადო ყურადღება არ  
ექცევა ფიზიკის სწავლებას. აქ ფიზიკას ოთხი მასწავლებელი ასწავ-  
ლის, რ. ბეგლაროვის კვირეული 34 გაკვეთილი აქვს ფიზიკაში.  
მათემატიკის მასწავლებლებს ლ. მამაცაშვილს და ან. კალოვს განა-  
წილებული აქვთ ფიზიკის—პირველს 4, მეორეს 2 გაკვეთილი, ხო-  
ლო გ. გოზალოვი, რომელიც სკოლაში შეთავსებით მუშაობს და  
დამთავრებული არა აქვს უმაღლესი სასწავლებელი, ფიზიკას ორ  
VI კლასში ასწავლის. ფიზიკის კლას-კაბინეტი ღარიბია თველსა-  
ჩინო ხელსაწყო-იარაღებით, რის გამო პროგრამით გათვალისწინე-  
ბული სასკოლო ექსპერიმენტების დიდი ნაწილი არ ტარდება სრულ-  
3. კრებული

ყოფილად. გამოუყენებელია კინოპარატი ფიზიკის კაბინეტის ჩანაცემის შერებიდან ირკვევა, რომ ვ. გოზალოვი და აბ. კალოვი ვაჟების ლის ჩატარების პროცესში იშვიათად იყენებენ არსებულ ხელსაწყო-იარაღებს. მასწავლებელი ლ. ბეგლაროვა მექანიკოლოს არ უწევს მოსწავლეთა საქმიანობას გაკვეთილზე; მაგალითად, XI კლასში განათებულობის კანონებზე ამოცანების ამოხსნის დროს მოს-წავლები დაცემის კუთხედ თვლიდნენ დაცემულ სხივსა და მაგი-დის ზედაპირს შორის კუთხეს, ნაცვლად დაცემის წერტილიდან აღმართულ პერპენდიკულარსა-და დაცემულ სხივს შორის კუთხისა. შეცდომა, რომელიც ამოცანის მსვლელობის პროცესში იქნა დაშ-ვებული, ამოხსნის ანალიზის შემდეგ იქნა შემჩნეული. ასევე არას-წორად ამოხსნა ამოცანა VII კლასში (მასწ. მამაცაშვილი).

სართიჭალის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწავლებელი რომანენკო) ვერ ამოხსნეს ამოცანა წნევის განსაზღვრაზე, მათ მარ-ტივი მათემატიკური მოქმედების შესრულებაც კი უძნელდებათ. მასწავლებელს არ უვარება გაკვეთილის ორგანიზაცია, მან მთელი გაკვეთილი 3 მოსწავლის გამოყითხვას მოანდომა. ფიზიკის ძირი-თადი მასწავლებელი ვ. ბურაშვილი ავადმყოფის მიზეზით შემოწ-მების პერიოდში არ გამოცხადებული.

სართიჭალის საშ. სკოლაში ქიმიას ასწავლის ქ. ნახუცრიშვი-ლი, რომელიც სპეციალობით ბიოლოგია. მის არა აქვს პედაგოგიუ-რი მუშაობის სათანადო სტაჟი, არ გაუკლია ქიმიის მასწავლებელ-თა დახელოვნების კურსები, იგი არ იყენებს მოწინავე და დახელოვ-ნებული მასწავლებლების გამოცდილებას. აშ სკოლის XI კლასში მასწავლებელმა მცდარად განმარტა ნიტრობენზოლის რეაქციის არსი. მოსწავლეებმა ვერ შესძლეს ეთილბენზოლისა და ნატრობენ-ზოლის ფორმულების დაწერაც კი.

VIII კლასში მოსწავლეებმა ვერ განმარტეს შეავური ქანგეუ-ლის, ფუძე ქანგეულის, ქვექანგეულისა და ქანგის ცნებები, გაუძ-ნელდათ სილიციუმის მჟავას ფორმულის დაწერა. მასწავლებელი მიმდინარე ქიმიურ პროცესებზე მოსწავლეებს აძლევს მცდარ გან-მარტებას.

ახალქალა-ის საშუალო სკოლაში გეოგრაფიას სპეციალური განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სათანადო სტაჟის მქონე პირები ასწავლიან. გაკვეთილის შემოწმებით გამოირკვა, რომ ისი-ნი საშინაო დავალების შესრულების შემოწმებისას ეკითხებიან 2—3 მოსწავლეს და კლასს არ აბამენ მუშაობაში. ახალი მასალის გადა-



ცემის პროცესში ისინი არ ახდენენ თემასთან დაკავშირებული ქართული მასალის გამოყენებას, განმეორებას, მეტასიტებაში მის აღდგენისას და განმტკიცებას. გაკვეთილ მხოლოდ თხრობით გადასცემენ, იშვიათად იყენებენ ახალი მასალის ახსნის სხვა მეთოდებსა და ხერხებს.

სკოლას არ მოეპოვება ყველა აუცილებელი რუკა, გეოგრაფიული შინაარსის სურათები. ნაკლები ყურადღება ექცევა სასკოლო ატლასსა და კონტურულ რუკებზე მუშაობას. არ სრულდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მოწყობილი არ არის გეოგრაფიის მოედანი, არ სწარმოებს სამხარეო მუდნები მუშაობა, მოუვლელია რუკები.

სართიჭალის საშუალო სკოლაში ცდება გეოგრაფიის 18 გაკვეთილი ამ საგნის მასწავლებლის ავადმყოფობის გამო, თუმცა შეიძლებოდა აღნიშნული საათები დროებით აელო დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ლ. კახიძეს, რომელიც აგრეთვე გეოგრაფია.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა არც ბიოლოგის სწავლებას. მასწავლებლები, რომლებიც ამ საგანს ასწავლიან სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, ყოველთვის არ იყენებენ თეალსაჩინოებას, იშვიათად ატარებენ ცდებს, სათანადოდ არ ზრუნავენ მოსწავლეებს მისცენ ბუნების მოვლენებზე და კვირეებისა და შეთვისებულის პრაქტიკაში გამოყენების უნარებიცები.

ახალქალაქის საშუალო სკოლას არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. მიწის მცირე ფართობი, რომელიც საცდელი მუშაობის დანიშნულებას უნდა ასრულებდეს, მოუვლელი და გამოუყენებელია. სკოლაში არ არსებობს სასათბურო მეურნეობა და არც ცალქე კუთხე თეალსაჩინოებისათვის საჭირო ცოცხალი ორგანიზმებით. სართიჭალის საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სათბური და ცოცხალი ბუნების კუთხე დაუგეგმავი და მოუვლელია. მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს ბრძანებას ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებს. არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, სუსტად განმარტავენ ბიოლოგიაში ჩატარებული ცდების შედეგებს. მაგალითად, ახალქალაქის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ი. ვ. მიჩურინის ძირითადი მიმართულებანი

მცენარეთა ბუნების გარდაქმნის შესახებ, უძნელდებათ ჰიბრიდული ცის განმარტება, არ იციან, რას წარმოადგენს სათბური, კვალსათბური, რატომ მიმართავენ სასათბურო მეურნეობას, როგორია მცენარეთა დაყოფა აგებულების მიხედვით და სხვ. ანალოგიური მდგოგარეობა სართიჭალის საშუალო სკოლაშიც.

არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს 1965—1966 სასწ. წლის I მეთხედი ახალქალაქისა და სართიჭალის საშ. სკოლებმა. მაგალითად, სართიჭალის საშუალო სკოლის 602 მოსწავლიდან შეფასდა 597, აქედან ვერ ასწრებს 107, შეუფასებელია 5. ახალქალაქის საშუალო სკოლის 649 მოსწავლიდან I მეოთხედის ბოლოს შეფასდა 638 მოსწავლე, აქედან ვერ ასწრებს 74, არ შეფასებულა 11 მოსწავლე. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკე კლასების მიხედვით. სართიჭალის საშუალო სკოლის XI კლასის 31 მოსწავლიდან ასწრებს 19, ვერ ასწრებს 12, მათ შორის ოთხ და მეტ საგანში ვერ ასწრებს 8 მოსწავლე. ახალქალაქის საშუალო სკოლის X კლასის 54 მოსწავლიდან ასწრებს 45, ვერ ასწრებს 9, აქედან ოთხ და მეტ საგანში ვერ ასწრებს 4 მოსწავლე. ამ სკოლის I კლასებში სამოთხო და მეტ საგანში ვერ ასწრებს 3 მოსწავლე. ახალქალაქის საშუალო სკოლის I—II კლასებში 3 მეორეწლიანი მოსწავლეა.

დასახელებულ სკოლებში ძალზე მცირეა წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვი. მაგალითად, სართიჭალის საშუალო სკოლაში არცერთი წარჩინებული მოსწავლე არ არის IV—VI—VIII—IX—X XI კლასებში. მსგავსი მდგომარეობაა ახალქალაქის საშუალო სკოლაშიც.

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთელების რაოდენობა ახალქალაქის საშუალო სკოლაში. მიმღინარე სასწავლო წლის I მეოთხედში მოსწავლეების მიერ გაცდენილია 8, 105 გაკვეთილი, მათ შორის არასაპატიო მიხეზით—2, 153.

სერიოზული ნაკლოვანებით ხასიათდება სკოლის წლიური და კლასის ხელმძღვანელების მეოთხედური სამუშაო გეგმები. სართიჭალის საშუალო სკოლის სამუშაო გეგმას არა აქვს გასული სასწავლო წლის მიმოხილვითი ხასიათის შესავალი ნაწილი, სადაც უნდა იყოს 1964—65 სასწავლო წლის მოკლე ანალიზი ნაკლოვანებების იღნიშვნით და ძირითადი ღონისძიებანი, რაზედაც სკოლამ ახალ სასწავლო წელს უნდა გაამახვილოს ყურადღება. ასეთი საკითხების შეტანა განსაკუთრებით საჭირო იყო ამ სკოლისათვის,



რომლის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა არადამაკმაყოფილი მომზადება გამოიჩინა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. შესწორებას და სრულყოფას საჭიროებს ახალქალაქის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმაც.

კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმების დროი ნაწილი ნაჩერევად, ზერელედ და მოუფიქრებლად არის შედგენილი. იმ დოკუმენტებში იშვიათად გვხვდება ისეთი საკითხები, რომელებიც კლასის სპეციფიურ პირობებს უნდა ითვალისწინებდნენ, პირიქით, ისინი გადატვირთულია ისეთი საკითხებით, რომელთა გეგმაში შეტანა უაზრობაა. მაგალითად, ახალქალაქის საშუალო სკოლის I კლასის სამუშაო გეგმაში შეტანილია XXII ყრილობის გადაწყვეტილებების გაცხობა, ხოლო X კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში მოსწავლის გვარის, სახელისა და მამის სახელის და დაბადების წლის დაზუსტება.

სკოლებს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმაში არ შეუტანიათ და არ განუხილავთ საკითხები ძირითადი სასწავლო დისკიპლინების სწავლების მდგომარეობის, წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების, საპროგრამო მასალის ათვისებისა და სხვათა შესახებ. I ლი მეოთხედის შედეგებზე მიღებული ღონისძიებანი ზოგადი და ყველა კლასისათვის ერთნაირია.

სკოლებში არა დაცული მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის სახეები და ფორმები, ცუდად არის შედგენილი მეთოდკაერთიანების სამუშაო თემატიკა. ახალქალაქის საშუალო სკოლაში მეთოდგაერთიანება შექმნილია სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა-თვის ერთად და მას მეთოდურმისის უწოდებენ. აქ არის ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-გეოგრაფიის, ქიმია-ბიოლოგიის „მეთოდურმისიები“. ფიზიკა-მათემატიკის „მეთოდურმისიები“ სამუშაო გეგმაში ფიზიკის მთლილ ერთი საკითხია შეტანილი. გეგმაში შეტანილი არ არის საექუნალო სტატიების მიმოხილვა, ლექციების ჩატარება, მოხსენებების მოსმენა აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებზე და სხვ. ანალოგიური მდგომარეობა სართიჭალის საშუალო სკოლაში.

შეუფერებელ პირობებში უხდება მუშაობა ახალქალაქის საშუალო სკოლას. ნაგებობა, სადაც მიშენებისა და დაშენების სამუშაოებია დაწყებული, ამჟამად გამოუყენებელია. I—III კორპუსებში ზოგან საკლასო ოთახები ისე პატარაა, რომ მერხზე 3—4 მოსწავლეს უხდება ჯდომა. ოთახების სიმცირის გამო ფერხდება საკლასო და კლასგარეშე მუშაობა. სკოლა უზრუნველყოფილი არ არის, სათ-



ბობით. მეტ ყურადღებასა და წესრიკის დამყარებას საჭიროება  
სასწავლო კატინგები, სახელოსნო და დამტმარე სათავსოებს.

ნორმ-ლური მუშაობისათვის შედარებით უკეთესი პირობები  
აქვს სართიჭალის საშუალო სკოლას, რომელიც ახალ შენობაშია  
მოთავსებული. მიუხედავად ამისა, სკოლა საჭიროებს ზოგერთი  
დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულებას (სველი წერტილები და  
სხვა)

ახალქალაქისა და სართიჭალის საშუალო სკოლებს გასატარე-  
ბელი აქვთ მრავალი ისეთი ღონისძიება, რომლებიც მშობელთა  
კომიტეტის ჩარევას და დახმარებას მრითხოვს. გადასასინჯია სა-  
მუშაო გეგმები ზოგჯერ მთხოველთა კომიტეტის სამუშაო გეგმაში  
შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებიც, როგორც წესი, იხილება  
ბედაგოგიური ს-ბჭოს სხუომაზე. თითქმის ასევეა მოსწავლეთა კო-  
მიტეტის სამუშაო გეგმაც.

სკოლებში ჩამოყალიბებული არ არის ტექნიკური ხასიათის  
წრები, ხოლო საგნობრივი წრების სამუშაო გეგმები და განხი-  
ლული საკითხები პროგრამულ მასალის არ სცილდება. მაგალითად,  
ახალქალაქის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრის სამუშაო გეგ-  
მაში შეტანილია „გარემოს გაგნების წესები“, „გაგნება საშუალებე-  
რიდილის მიხედვით“, ეს საკითხები ისწავლება პროგრამით. ამ  
სკოლის IX—X—XI კლასის მოსწავლეთათვის მათემატიკაში სრუ-  
ლიად არ შეუქმნიათ წრე.

გაკვეთილების ცხრილის შედგენისას ზოგჯერ დარღვეულია  
დადგენილი წესი. მაგალითად, ახალქალაქის სკოლაში შუალედების  
გარეშე გეოგრაფია VI კლასში სამშაბათს და ოთხშაბათს და VII  
კლასში ოთხშაბათს და ხუთშაბათს არის შეტანილი ცხრილში. ზოგ-  
ჯერ ცხრილი გადატევირთულია ორშაბათს და შაბათს. VIII კლასს  
შაბათს ცხრილში აქვს შეტანილი ქართული ლიტერატურა, რუსუ-  
ლი ენა, გეოგრაფია, ფიზიკა და ქიმია. სართიჭალის საშუალო სკო-  
ლის XI კლასში ფიზიკის 3 გაკვეთილი ბოლო საათებზეა მოქ-  
ცეული.

ახალქალაქის სკოლის ბიბლიოთეკას არა აქვს ბინა, წიგნები  
ინახება სამასწავლებლოს კარადებში, ნაწილი კი კარადებზეა შემოწყ-  
ყობილი. მოუწესრიგებელია კატალოგი, შემოლებული არ არის შთა-  
ბეჭდილებათა წიგნი. ბიბლიოთეკა არ ივსება ახალი ლიტერატუ-  
რით, არა აქვს რუსულ-ქართული ლექსიკონი, არც ქართული ენის  
განმარტებითი ლექსიკონი. ბიბლიოთეკის გამგე კვალიფიკაციის  
ამაღლებას საჭიროებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
მუზეუმი

სართიჭალის და ახალქალაქის საშუალო სკოლებში სათანაფილო მუზეუმი დაგენერირდა არ ექცევა ძირითადი სასკოლო დოკუმენტების წარმოებას. ზოგიერთ სასკოლო ურნინალში სწორად არ არის შეტანილი საერთო ცნობები მოსწავლეთა შესახებ. ხშირია საკლასო და მოსწავლეთა ყოფაქცევისა და ყადემიური წარმატების ეურნალებში ნიშნის გადასწორების, ამოშლისა და ჩასწორების შემთხვევები. ზოგჯერ მოსწავლეს ნიშანი ეწერება ცოდნის მიმდინარე აღრიცხვის გაუთვალისწინებლად. მაგალითად, სართიჭალის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ი. ბ ს ფიზიკაში I მეოთხედის მანძილზე მიუღია „2“, „2“, „3“, „2“ მეოთხედის ბოლოს კი უწერია ნიშანი „3“.

ახალქალაქის საშუალო სკოლაში იგრძნობა მასწავლებელთა შორის არაკოლეგიური დამოკიდებულება, ურთიერთშორის უსაფუძვლო შელაპარაკება და ერთი მეორის მიმართ უპატივცემლობა.

სართიჭალის და ახალქალაქის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა დაბალი მოსწრება და სასწავლო წლის I მეოთხედის არა-დამაკიაყოფილებელი შედეგები იმითაცა გამოწვეული, რომ მოსწავლეებს სწავლის პერიოდში სკოლიდან მოწყვეტით ხშირად იყენებდნენ სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

ბრიგადის ხელმძღვანელი  
სასკოლო ინსპექტორი ნ. ანგლედიანი

საქართველოს სსრ გარემონის სამინისტროს 1965 წ.  
 30 დეკემბრის ბრძანება № 1403

ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის ხაშუალო სკოლაში სასწავლო-აღ-  
 მზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ყარსუბნის ხაშუალო სკოლაში ზოგიერთი მასწავლებელი ბე-  
 ჭითად და მონდომებით მუშაობს და დამაკმაყოფილებელ შედე-  
 გებს აღწევს მოსწავლეთა მომზადებაში (ზ. პეტრიაშვილი, ი. ინა-  
 შვილი, ვ. ლობჯანიძე და სხვ.). მაგრამ ამ სკოლის მუშაობაში სე-  
 რიობული ხასიათის ნაკლოვანებასაც აქვს ადგილი.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას V და VII  
 კლასებში (მასწავლებლები შ. ხარაძე, შ. ლომიძე) და ქართულ ლი-  
 ტერატურას X - XI კლასებში (მასწ. ე. მაისურაძე, ა. შეყელაძე).

დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულ-  
 ტურის დონე. მოსწავლეებმა ზეპირიად იციან გრამატიკული წესები,  
 მაგრამ არ შეუძლიათ მათი პრაქტიკულად გამოყენება; მათ არ  
 იციან ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და საზეპირო ად-  
 გილები, არ შეუძლიათ მოახდინონ ნაწარმოების იდეურ-მხატვრუ-  
 ლი ანალიზი, რადგან მასწავლებლები შ. ხარაძე და ა. შეყელაძე  
 სუსტად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. -

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე რუსულ ენასა და ლი-  
 ტერატურაში III (მასწ. ნ. გოგოლაძე), IV (მასწ. ნ. ბლიაძე), V  
 (მასწ. ნ. შაიშმელაშვილი), VI და X (მასწ. დ. დვალიშვილი) ქლა-  
 სებში. სერთოდ მოსწავლეები თითქმის ყველა კლასში რუსულ  
 ენას სუსტად არიან დაუფლებული, დამახინჯებულად კითხულობენ,  
 არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს. ამ საგნის მასწავლებლები  
 V—VIII კლასებში ურთიერთ კავშირში არ ატარებენ მუშაობას ლი-  
 ტერატურულ კითხვაში (საკითხავ მასალაზე), ზეპირ მეტყველებაში,  
 წერასა და გრამატიკაში, როგორც ამას პროგრამა მოითხოვს.  
 ძალზე სუსტად ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთო-  
 დებს მასწავლებელი ნ. გოგოლაძე.

ნაკლოვანებები ახასიათებს აგრეთვე მათემატიკის სწავლების უცხადებელი მასში. III (მასწ. 6. ბულეიშვილი) და XI (მასწ. 7. გოგოლაძე) კლასებში. III კლასში მოსწავლებმა არ იციან თანრიგობრივ ცხრილში ჩაწერილი რიცხვის წაკითხვა ქართული თვლის თავისებურებასთან დაკავშირებით. მოსწავლები მექანიკურად იზეპირებენ და წერენ ორნიშნა რიცხვებს. რიცხვთა ნუმერაციის სწავლება არ დგას სათანადო სიმაღლეზე. რიგ შემთხვევებში მასწავლებელი არასწორ მითითებებსაც კი აძლევს მოსწავლებს. საერთოდ სკოლაში ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და ზეპირი ანგარიშის ჩვევების დანერგვის საქმეს.

არადამაკავაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა VIII, IX, X და XI კლასებში (მასწავლებლები ვ. გელაშვილი და ვ. გოგოლაძე). ამ კლასების მოსწავლებმა სუსტად იციან საპროგრამო მასალა, მათ არ შესჭივთ თუმცაც მარტივი ფიზიკური ხასიათის მოვლენებში, ცნებებსა, კანონებსა და დებულებებში პრაქტიკულად გარკვევის უნარი.

ზემოთ დასახელებული მასწავლებლები სწავლების პროცესში ვერ იყენებენ აქტიურ მეთოდებს, ისინი არ იცნობენ განათლების სამინისტროს ბრძანებებს, ინსტრუქციულ-მეთოდურ წერილებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, წინასწარ არ ემზადებიან, რის გამო მათი გაკვეთილები შეცნიერულად და მეთოდურად გაუმართავია, არაა დაცული პროგრამული მოთხოვნილებანი. მაგალითად, რუსული ენის მასწავლებელ ნ. შაიშმელაშვილს V კლასში სასწავლო მასალისათვის დათმობილი ჰქონდა 20 საათით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია პროგრამით, ხოლო X კლასის ფიზიკის მასწავლებელი ვ. გელაშვილი საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩებოდა თითქმის 20 საათით. რუსული ენის მასწავლებელმა დ. დვალიშვილმა საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას VI კლასში 28 წუთი მოანდომა; ხოლო მასწავლებელმა ნ. გოგოლაძემ ახალი მასალა III კლასში ორ წუთში ახსნა. თუმცა სკოლა არადამაკავაყოფილებლად არის მომარაგებული სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, მაგრამ ზოგჯერ მასწავლებლები იმ შესაძლებლობასაც არ იყენებენ, რაც ამ მხრივ არსებობს.

მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს ცალკეულ სასწავლო დისკიპლინებში წერითი სამუშაოების რაოდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შე-

სახებ. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ადგილი აქვს მასწავლებელთა ბელთა მიერ ნამუშევრების არაყოლისხმიერად, არაობიერ ტერად გასწორება-შეფასების შემთხვევებს. მაგალითად, IX კლასის მოსწავლის ა. კურტანიძის 24 სექტემბრის ნამუშევარში მასწავლებელი ა. შეკველაძეს შეუნიშნავს მხოლოდ ერთი შეცდომა და ნაწერი შეუფასებია დამაკმაყოფილებლად, ხოლო შეუნიშნავი დარჩა 14 შეცდომა. XI-ა კლასში საკონტროლო წერა შეასრულა 16 მოსწავლემ, აქედან მასწავლებელმა ა. შეკველაძემ ნიშანი „2“ დაუშერა 9 მოსწავლეს, „3“—7 მოსწავლეს. ფაქტიურად ნიშანი „3“ ეკუთვნოდა 4 მოსწავლეს. „2“ კი 12 მოსწავლეს. XI-ბ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას საკონტროლო წერით ნამუშევარში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ეკუთვნის, მასწავლებელი შ. ლომიძე კი მათ ნამუშევრებს „3“-ზე და „4“-ზე აფასებს.

გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის საგამოცდო წერითი ნამუშევრები (მასწავლებლები ა. შეკველაძე და შ. ლომიძე) არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. 35 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება ეკუთვნის 15 მოსწავლეს, აქედან 12 მოსწავლის ნამუშევარი თემას არ პასუხობს, საგამოცდო კომისიის მიერ კი შეფასებელია დამაკმაყოფილებლად.

არ სრულდება საკონტროლო წერის ნორმები და სახეები რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მასწავლებლებს მეორე მეოთხედში არ ჩაუტარებიათ საკონტროლო წერა. სამასწავლებლოში საკონტროლო წერის განრიგი გამოიყრულია ფორმალურად: შემოწმების დღეს განრიგით საკონტროლო წერა უნდა ჩაეტარებინათ VII ა და VII ბ კლასებში, მაგრამ ცხრილით ამ დღეს VII-ა კლასში რუსული ენის გაკვეთილი არ ყოფილა, ხოლო VII-ბ კლასში მასწავლებელს საკონტროლო წერა არ ჩაუტარებია.

არითმეტიკის მასწავლებლები ციფრების წერის ნიმუშებს არ აძლევენ მოსწავლეებს საკონტროლო წერის რეკულებში.

XI კლასის მოსწავლეებმა მომზადების დაბალი დონე გამოამჟღავნეს მათემატიკაში (მასწ. თ. გოგოლაძე). საკონტროლო წერისას ამ საგანში 20 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 12 მოსწავლემ.

საკლასო-საშინაო წერის რეკულებს მასწავლებლები არ ასწორებენ. ზოგიერთ მოსწავლეს საკლასო-საშინაო წერის რეკული სრულებით არა აქვს, ზოგს კი ყველა საგნისათვის ერთი რეკული



აქვს შემოღებული, მასწავლებლები არ იცავენ საკლისო საშინაო განათლების:

სკოლაში დაბალ დონეზე დგას კლასგარეშე მუშაობა. საგნობრივი წრეები, რომელიც სკოლასთან არის შექმნილი, ფორმალურ ხასიათს ატარებს. იმის ნაცვლად, რომ V—VIII და IX—XI კლასების ფიზიკით ან მათემატიკით დაინტერესებულ მოსწავლეთათვის ცალკალკე იყოს ჩამოყალიბებული ნორჩ ფიზიკისთა ან ნორჩ მათემატიკოსთა წრეები, შექმნილია ფიზიკ-მათემატიკის ერთი წრე, რომელშიც V—XI კლასების მოსწავლეები ერთად არიან გაერთიანებული. სამუშაო გეგმით წრეში განსახილველად ფიზიკის მოყვარულთათვის, არ არის გათვალისწინებული არც ერთი საინტერესო საკითხი.

სკოლაში ჩაშლილია მეთოდური მუშაობა. არც სასკოლო და არც სასკოლათშორისო მეთოდვაერთიანებები არ მუშაონენ. პედაგოგიური საბჭოს სხდომები არარეგულირულად ტარდება. მიმდინარე სასწავლო წელს სულ ჩატარებულია პედ-გოგიური საბჭოს ორი სხდომა, სასწავლო წლის დასწურიში და პირველი მეოთხედის ბოლოს. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილავენ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საკითხებს და მიღებული ღონისძიებებიც არაკონკრეტულია.

გაკვეთილების ცხრილის შედგენისას დარღვეულია დადგენილი წესი. დაწყვილებულია ქართული ენის საათები, მცირე საათიანი დისციპლინები ცხრილში შეტანილია ორშაბათს და შებათს, ან ერთი მეორეზე მიყოლებით. გაკვეთილების ცხრილი ხელმოუწერელია.

სკოლაში ხშირად ირლვევა შინაგანაწესი და სასწავლო რეზიმი. შემოწმების დღეს არასაპატიო მიზეზით გაცდა ქართული და ფრანგული ენების გაკვეთილები (მასწავლებლები ე. მასურაძე და გ. ლომიძე) სკოლის დირექციამ ვერ შესძლო გაკვეთილების გადანაცვლება და მთელი დღის განმავლობაში სკოლაში ხმაური იყო, რაც ხელს უშლიდა საერთო სასოლო მუშაობას.

საონადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას. სასკოლო უურნალები მოუცვლელია, მასწავლებლებს სისტემატურად არ შეაქვთ უურნალებში აღნიშვნები დამუშავებული მასალის შესახებ, არ გადააქვთ საკონტროლო წერის ნიშნები, არა-სწორად აცხებენ საერთო ცნობებს მოწავლეთა შესახებ, ცალკეული საკნების მასწავლებლებს უურნალებში თვითონ არ შეაქვთ მოსწავ-

ლეთა მეოთხედური ჭარმატების შეფასებანი და ხელს არ აწერს მაგრა ასეთი მარტინი მეოთხედური გაკვეთილებზე დასწრებიდან და საკონტროლო ჭე-  
 რის რევულების შემოწმებიდან, ისე საკლასო უურნალებიდანაც  
 დასტურდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ადგილი აქვს ლიბე-  
 რალობას. მაგალითად, X კლასის მოსწავლე ბ-ს, რომელიც პირვე-  
 ლი მეოთხედის შედეგებით თითქოსდა ხუთოსანია, მიმღინარე შე-  
 ფასების დროს პირველ მეოთხედში მიღებული აქვს ფიზიკაში „2“,  
 ფრანგულ ენაში „2“, ალგებრაში „4“. ამავე კლასის მოსწავლე  
 შ წ.-ს პირველ მეოთხედში ფიზიკაში მიღებული აქვს „3“, „4“  
 და „3“, ხოლო მეოთხედური ნიშანი „5“ უწერია. მასვე ფრანგულ  
 ენაში მეოთხედში მიუღია ორი „2“, ხოლო მეოთხედური ნიშანი  
 „4“ უწერია, სსრკ-ს ისტორიაში „2“, „3“, „2“ მეოთხედური კი —  
 „4“ და ა. შ.

არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მაჩვენებლებით დაამ-  
 თავრა სკოლამ სასწავლო წლის პირველი მეოთხედი; შეფასებული  
 552 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 108, აღსანიშნავია, რომ აქედან  
 90 მოსწავლე ვერ ასწრებს 3 და მეტ საგანში. უფრო ცუდი მდგო-  
 მარეობაა ცალკეული კლასების მიხედვით. V კლასებში ვერ ასწ-  
 რებს 17 მოსწავლე, VI კლასებში 19, VII კლასებში 15.

ყარსუბნის საშუალო სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე  
 სპეციალობით ორივე ისტორიკოსია. სუსტია შიგასასკოლო კონტ-  
 როლი და ხელმძღვანელობა. დირექტორი და მისი მოადგილე სას-  
 წავლო დარგში წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილებზე დასასწრებად  
 არ ეცნობიან პროგრამას, სახელმძღვანელოს) და ამიტომაც მასწავ-  
 ლებლებს ვერ აძლევენ სათანადო მითითებებს ნაკლოვანებათა გა-  
 მოსასწორებლად.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ყარსუბნის საშუალო სკოლის დირექტორი (ამბ. ვ. ლობჯა-  
 ნიძე) სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი  
 ხელმძღვანელობისათვის ღირსია მოხსნისა, მაგრამ ვითვალისწინებ  
 რა მის გულწრფელ აღიარებას და იმას, რომ მას შესწევს უნარი  
 გამოასწოროს მუშაობა, გუცხადებ საყვედურს და ვატრთხილებ,  
 თუ არსებითად არ გამოასწორებს მუშაობას, მის მიმართ მიღებული  
 იქნება მეცრი ადმინისტრაციული ზომები.

2. დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში  
 ამბ. ს. გოგოლაძეს სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

3. ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ქადაგი შეცვილი):

ა) ჩიმოართვას მასწავლებელ ნ. გოგოლაძეს რუსული ენის, ხოლო მასწავლებელ ნ. ბულეიშვილს არითმეტიკის საათები:

ბ) გააფრითხილოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. ბლიაძე, შ. ხარაძე, შ. ლომიძე, ე. მაისურაძე, ა. შეყელაძე; რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. ბლიაძე, ნ. შაიშმელაშვილი, დ. დვალიშვილი; მათემატიკის მასწავლებელი თ. გოგოლაძე, თუ მოკლე დროში მკვეთრად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, ისინი განთავისუფლებული იქნებიან დაკავებული თანამდებობიდან;

გ) მიავლინოს პირველ რიგში დახელოვნების კურსებზე ამ ბრძანებაში მოხსენებული სუსტი მასწავლებლები;

დ) დაავალოს პედაგოგიურ კაბინეტს სისტემატური დახმარება გაუწიოს ამ სკოლის მასწავლებლებს პედაგოგიურ დახელოვნებაში;

ე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განხილვა სახალხო განათლების რაიონული სამსახურის სხდომაშე და რაიონის ყველა საშუალო სკოლაში, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) სასწავლო წლის ბოლოს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ს. გოგოლაძე, როგორც სუსტი მუშაკი გაათავისუფლოს თანამდებობიდან, მის ადგილზე შეარჩიოს სათანადო კანდიდატი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

4. სკოლების სამმართველომ (მხ. დ. ჯავახია) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშეკრაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
30 დეკემბრის ბოძანება № 1404

ჩემი მიმღები გამოირკვა, რომ ჩემი მიმღები გარკვეული უცრადლება ექცევა სკოლების მატერიალური ზაზის განვიციცების საქმეს. კოლმეუნებების საშუალებით შენდება ხაბუმის, ზუმის, ნაფიქხოვის და ლეისიჭინების საშუალო სკოლების ტიპიური შენობები. კოლმეუნებობათა სახსრებით აშენდა ჭოლის რვაწლიანი და ლექარჩეს დაწყებითი სკოლების შენობები, ოთხ-ოთხი საკლასო ოთახი მიუშენდა მუხურის რვაწლიანი და ქვემო ჩემი მიმღები სკოლებს.

რაიონის განათლების განყოფილება (ამხ. ვ. როდონაია) მინშენელოვან ღონისძიებებს ატარებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. განათლების განყოფილებასთან შექმნილია და სისტემატურ მუშაობას ეწევა მათემატიკის (ხელმძღვანელი სასკოლო-ინსპექტორი შ. ნაკებია), ქიმიის (ხელმძღვანელი ლეისიჭინის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. სიჭინავა) და ფიზიკის (ხელმძღვანელი ქვ. ჩემი მიმღები სემინარები). მუშაობით სემინარები.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი სათანადოდ ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს საგნის სწავლებაში.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ლიტერატურაში რ. ჩიქოვანი (მუხურის საშუალო სკ.), მ. შოგირაძე (ხაბუმის საშ. სკ.); მათემატიკაში ნ. გახარია (მუხურის ს. შუალო სკ.), კ. ვახანია (ხაბუმის საშუალო სკოლა), ს. ჯანჯვალი (ლეისიჭინების საშ. სკ.); ქიმიაში მ. სიჭინავა (ლეისიჭინების საშ. სკ.); ისტორიაში ა. გულუა,



ბ. ჩალიგავა (ხაბუმეს საშუალო სკ.), კ. ჩიქოვანი (მუხურის საშუალო სკ.), გ. ხორავა (ლესიჭინეს საშ. სკ.), გეორგიაშვილი ა. ლეშიძე-ჯავა (ხაბუმეს საშუალო სკოლა). დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ხაბუმის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები ო. გორ-დელაძე და ა. შენგელია.

მიუხედავად ამისა, ჩხოროშვილს რაიონის ზოგიერთი სკოლა დღემდე არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს მის წინაშე მღვარ ამოცანებს და სასწავლო-აღმნიდელობით მუშაობაში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, რის გამო დაბალია მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ჭოლის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი გ. ბენდელიანი) მოსწავლეებმა. ისინი სუსტიდ ერკვევიან შესწავლილი ნაწარმოების შინაარსში, ვერ ახერხებენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ძალზე დაბალია მათი მეტყველებისა და წერის კულტურა; წერით ნამეშვერებში მოსწავლეები უშვებენ უხეშ მორფოლოგიურ, პუნქტუაციურ და სტილისტიკურ შეცდომებს. 16 მოსწავლის საკონტროლო წერითი ნამუშევრიდან არადამაკმაყოფილებელ ნიშანზე იქნა შეუასებული 8 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ჭოლის საშუალო სკოლის X და XI კლასის მოსწავლეებმა მათემატიკაში (მასწავლებელი ი. შენგელია). ამ კლასებში ჩატარებულმა წერებმა მოსწავლეთა დიდი ნაწილის უცოდინარობა გამოავლინა: XI კლასის 16 მოსწავლიდან 12-მა მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო X კლასის 23 მოსწავლიდან—15-მა. ამავე სკოლის V—VII კლასების მასწავლებელი ტ. ბასილაძე მოსწავლეებისავან ძირითადად მათემატიკური ცნებებისა და წესების სიტყვიერ განმარტებებს მოითხოვს, და სათანადო ყურადღებას არ უთმობს ამ წესების საილუსტრაციო მაგალითებს, რის გამო მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ახერხებს უმარტივესი მაგალითების ამოხსნას. ასევე დაბალი მომზადება გამოიჩინეს მათემატიკაში ლესიჭინის საშ. სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ი. გოგინავა) მოსწავლეებმა. მასწავლებელი ი. გოვინავა (X კლ.) საშინაო წერითი დავალების შემოწმებისას უყურად-

ლებოდ ტოვებს იმას, თუ რამდენად შეგნებულად და დამოუკიდებელად არის შესრულებული დავალება მოსწავლეთა მიერ. არა რომ ეს რებს წინასწარ იმ მასალის, რომელსაც ეყრდნობა საკლასო მუშაობა, საქლასო მუშაობის დროს მოსწავლეთა დიდი ნაწილი პასიურობს. ამავე სკოლის VII კლასის მათემატიკის მასწავლებელი ლ. ჭარჩავა მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს, იგი ვერ აბაზს მუშაობაში მთელ კლასს, დაკავებულია მხოლოდ დაფასთან მომუშავე მოსწავლით. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, ისინი ვერ ფლობენ გამოყვლების ფორმულებს და არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად შესრულონ ალგებრულ გამოსახულებათა იგივიური გარდაქმნები. ლესიჭიის და ჭოლის საშუალო სკოლებში დაბალ დონეზე დგას კლასგარეშე მუშაობა მათემატიკაში. წრის სამუშაო გეგმაში არ არის გათვალისწინებული რეფერატების წაკითხეა, გარკვეული სიძნელის ამოცანებსა და მაგალითებზე მუშაობა, 7-წლიანი გეგმის შესრულების ამსახველი ციფრობრივი მასალების შეკროვება და მის საფუძველზე საწარმოო ხასიათის ამოცანების შედგენასა და ამოხსნაზე ვარჯიში, ამავე მასალაზე დიაგრამებისა და გრაფიკების ავება, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება (თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება) და სხვა.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მეთოდური მუშაობა ხაბუმეს და ჭოლის საშუალო სკოლებში. ჭოლის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჭეშია) V—XI კლასების მათემატიკისა და შრომის საგნების მასწავლებლები შეყვანილი არიან საწირმოოსწავლებიანი კლასების პოლიტექნიკური ციკლის საგნების მეთოდგაერთიანებაში, რაც სწორი არაა. ხაბუმეს საშუალო სკოლაში (დირექტორი ბ. ჩალიგავა) საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა ნაცვლად შექმნილია ციკლობრივი მეთოდური გაერთიანებები (ფიზიკა-მათემატიკისა და ა. შ.). მეთოდგაერთიანებების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული საკითხები სრულიად არ პასუხობენ მეთოდური მუშაობისათვის დადგენილ შინაარსს, გეგმით არაა გათვალისწინებული მასწავლებლის მეთოდური დახელოვნებისა, უახლესი პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გაცნობისა, პრაქტიკასთან სწავლების კავშირის განმტკიცებისა და სხვა აქტუალური, მეთოდურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება. ლესიჭინის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა. სიჭინავა ფლობს საგანს, მაგრამ ზის მუშაობაში შეიმჩნევა ნაკლოვანებები,



იგი დიდ დროს ანდომებს „წესების დასწავლის“, ცოტას მათ უფრულეს მოყენებას და შეგნებულად ათვისებას. VIII კლასებში საყოფაცხოვრებო ელექტროსახურებელი ხელსაწყოების გაცნობისას მასწავლებელს ხელთ არ ჰქონდა არცერთი მათგანი. მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს უთოს სახურებელი ელემენტის წინაღობა, როცა იცოდნენ უთოს სიმძლავრე და ძაბვა ქსელში. მოსწავლეებმა არ იციან მარგი მოქმედების კოეფიციენტი და მუშაობის გამოიანგარიშება. ამავე სკოლის მასწავლებელი გ. შენგალია სჩულყოფილად არ ხსნის მასალას. ცენტრისკენული აჩქარების გაშუქებისას მან არ უთხრა მოსწავლეებს, თუ რატომ არსებობს თანაბარი ჭრიული მოძრაობის დროს აჩქარება. ასევე არ განუმარტა X კლასს, თუ რატომ არის ცენტრისკენული ძალა რადიუსის ხან პირდაპირი და ხან უკუპრობორციული; არ იყენებს დემონსტრაციებს; VIII კლასში ომის კანონი ახსნა ცდის გარეშე. მოსწავლეებმა არ იციან, თუ რატომ ირთვება ამპერმეტრი მიმდევრობით და ვოლტმეტრი პარალელურად, როგორ გამოიანგარიშონ რჩევის სიხშირე, როცა იციან რჩევის პერიოდი. ხაბუმეს საშუალო სკოლაში არ აქვთ ფიზიკის კაბინეტი და ფიზიკის სწავლება ზეპირსიტყვიერად სწარმოებს. მასწავლებელი ლ. ჩიქოვანი არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. ამით ახსნება, რომ X კლასის 15 მოსწავლიდან ამოცანა გამტარების პარალელურად შეერთების შესახებ დადებითად მხოლოდ 5-მა შეასრულა. IX<sup>2</sup> კლასში (მასწავლებელი ლ. არახამია) მოსწავლეებმა არ იციან ჭონის გამოიანგარიშება, როცა მოცემულია მოცულობა და ხვედრითი წონა.

მუხურის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებელი ბ. გახარია გაკვეთილის მასალის ახსნისას კმაყოფილდება მხოლოდ მოვლენების აღწერით, ცოტა დროს უთმობს ამოცანების ამოხსნას. X<sup>1</sup> კლასის მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს ძალა, როცა მოცემულია მუხტები და მათ შორის მანძილი.

საგრძნობი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება. ლესიჭინის საშუალო სკოლის VII-IX კლასების მასწავლებელი გ. სახურია გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ზერელედ გადასცემს მასალას, რის გამო მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქლორის მათეთრეილი და შადეზინფექციორებელი თვისებები, ქლორის კირის მიება და გამოყენება. არ იციან აგრეთვე ვალენტობა ელექტრული გაგებით, მეტალების ადგილი პერიოდულ სისტემაში მოლეკულების



წარმოქმნის თონური და ატომური კავშირი. ვერ აღგენენ ტეატრულ მუსიკულ გამოსახულებას. მოუმზადებლად ატარებს ქიმიაში გაკეთილებს ჰიდროკარბონულ სამუშაოს სკოლის მასწავლებელი მ. ფაცაცია. იგი არ ატარებს ცდებს და დაკვირვებებს. XI კლასის მოსწავლეები ვერ აყალიბებენ ბუტლეროვის ქიმიური აგებულების თეორიის დებულებებს, ვერ ერკვევიან ეთილენისა და პოლიეთილენის მსგავსებასა და განსხვავებაში, არ იციან ხელოვნური და ბუნებრივი კაუჩუკი. ვერ ამოხსნეს უმარტივესი ამოცანა იმის შესახებ, თუ რა მოცულობას დაიკავებს ნორმალურ პირობებში 20 გრამი აცეტილენი. დაბალი მომზადება გამოიჩინეს აგრეთვე VII – VIII კლასების მოსწავლეებმა; VIII კლასის მოსწავლეებმა, მაგალითად, ვერ შეადგინეს ტოლობანი ფუძეებთან მეური უანგელულების მოქმედებაზე; VII კლასის მოსწავლეებს ზერელედ აქვთ შესწავლილი ქიმიის დაწყებითი ცნებები. არ იციან ფიზიკური და ქიმიური მოვლენების არსი, ნარევები და ნაერთები, ატომები და მოლეკულები. ზოგიერთი ნაკლი შეინიშნება აგრეთვე ხაბუმეს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლის ნ. ბერულავას მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს საჭირო რეაქტივები და ხელსაწყოები პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად, მასწავლებელი მათ სრულებით არ იყენებს, მეტიც, გაკვეთილების მასალის ახსნისას არ ატარებს სადემონსტრაციო ცდებს. X – XI კლასების მოსწავლეებმა არ იციან აცეტილენის მიღება, ბენზოლის მსგავსება და განსხვავება ნაჯერ და უნაჯერ ნახშირწყალბადებისავან, ვერ აღგენენ ტოლობებს ფუძე უანგელულებსა და მეუკეების ურთიერთმოქმედებაზე. სრულებით არ იციან ნაერთთა სტრუქტურული გამოხატვა. X<sup>2</sup> კლასში მასწავლებელმა ახალი მასალა – „ბენზოლის ფიზიკური თვისებები“ ზეპირსიტყვიერად ვადასცა, მაშინ როცა შეეძლო ეფექტური ცდები ჩიეტარებინა. გარდა ამისა, გაკვეთილების მასალიდან მან გამოტოვა აცეტილენის გარდაქმნა ბენზოლად, რაც გაკვეთილის მასალის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. შემოწმებულ სკოლებში კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში არადამატყოფილებლად არის დაყენებული, ნორჩ ქიმიკოსთა წრეების სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები მეტწილად თეორიული ხასიათისაა.

მოუმზადებლად ატარებს გეოგრაფიის გაკვეთილებს ხაბუმეს საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. მაჯგალაძე. იგი გაკვეთილის მასალის თხრობისას რიგ მნიშვნელოვან საკითხებს ტოვებს აუხსნელად. მაგ. VIII კლასში, ახასიათებდა რა უკრაინისა და მოლდავი-

თის სს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობას, არაფერი ქართველი კრიკოიროვისა და ქერჩის რეინის მადნეულზე, კახოვებისა და კონკრეტული მენეჯების ჰიდროელექტროსალგურებზე, კიევის მეტროპოლიტენზე. მოსწავლეები საკმაოდ ვერ ერკვევიან რუკაზე. სკოლაში არ არის მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები.

პედაგოგიურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ჭოლისა და ხაბუმეს საშუალო სკოლებში. აქ აღილი აქვს გაკვეთილების დაწყვილების შემთხვევებს, ორ და სამ საათიანი სასწავლო საგნები ცხრილში მოქცეულია უშუალედოდ.

შემოწმებულ სკოლებში პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე არ არის გაანალიზებული ცალკეული საგნების სწავლება. არაა გამოვლინებული საგნების სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები და არაა დასახული ქმედითი ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

ნაკლოვანებებს აქვს აღილი სასკოლო მუშაობის დაგეგმვის დარგში, სკოლის წლიური, პედსაბჭოს და კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებში შეტანილი საკითხები ზოგადია.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვას და მათი განხორციელების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარებას.

გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, ცალკეული საგნების სწავლების დაბალი დონე აიხსნება იმითაც, რომ სუსტია დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მოადგილების ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჩხორციუს რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. როდონაია):

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი, პერიოდულად შეისწავლოს სკოლების მუშაობა; შემოწმების მასალები განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; პერიოდულად მოახდინოს სკოლებზე მოცემული მითითებების შესრულების შემწმება;

ბ) დროულად გააცნოს სკოლებს განათლების სამინისტროდან  
მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტები და მეთვალყურეობა  
დაწესოს მათში მითითებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე;

გ) სათანადო სასჯელი დაადოს ამ ბრძანებაზი აღნიშნულ  
არადამაკაცოფილებლად მომუშავე მასწავლებლებს, სასწავლო  
წლის მეოთხე მეოთხედში საგანგებოდ შეისწავლოს მათი საქმია-  
ნობა და, თუ ისინი არსებითად არ გარდაქმნიან მუშაობას, მათ  
მიმართ მიიღოს მკაცრი ზომები სამუშაოდან განთავისუფლებამ-  
დებ კი;

დ) ეს ბრძანება განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგო-  
გიური საბჭოს სხდომაზე და დაისახოს საქმიანი ღონისძიებანი გა-  
მოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფერებლად.

2. ჭოლის საშუალო სკოლის დირექტორს (ამხ. კ. ჭევიას) სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკაცო-  
ფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

განათლების განკოფილებამ (ვ. როდონაია) სასწავლო წლის  
ბოლოს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება, და თუ სკოლის დი-  
რექტორმა კ. ჭევიამ ვერ შეძლო აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო-  
სწორება, დააყენოს საკითხი მისი განთავისუფლების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1965 წლის 25 დეკემბრის კოლეგიის სხდომის  
დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
 15 იანვრის ბრძანება № 43

1965 წელს ჩატარებული სახელობრივი შენობების კაპიტალური  
 რემონტის სამუშაოების შემთხვების შედეგების შესახებ

შეტარებით შემოწმებით დადგინდურებულია, რომ რესპუბლიკის  
 სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებათა  
 შენობების კაპიტალური რემონტი უმეტეს ქალაქებსა და რაიონებში  
 მიმღინარე წელს, შედარებით სხვა წლებთან, უკეთ ჩატარდა. კაპი-  
 ტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი  
 თანხებიდან მიუშენდა საკლასო ოთახები:

1. საჩხერის რაიონის სკოლებს — 30 საკლასო ოთახი 750 მოსწ. ადგილით,
2. ახალქალაქის რაიონის — 26 საკლასო ოთახი 600 მოსწ. ადგილით,
3. საგარეჯოს რაიონის — 22 საკლასო ოთახი 325 მოსწ. ად-  
 გილით,
4. ახმეტის რაიონის — 19 საკლასო ოთახი 325 მოსწ. ადგი-  
 ლით,
5. გორის რაიონის — 18 საკლასო ოთახი 460 მოსწ. ადგი-  
 ლით,
6. თელავის რაიონის — 18 საკლასო ოთახი 460 მოსწ. ად-  
 გილით,
7. მარნეულის რაიონის — 14 საკლასო ოთახი 440 მოსწ. ად-  
 გილით,
8. თერჯოლის რაიონის — 13 საკლასო ოთახი 200 მოსწ. ად-  
 გილით,
9. მახარაძის რაიონის — 12 საკლასო ოთახი 480 მოსწ. ად-  
 გილით,
10. ლანჩხუთის რაიონის 12 საკლასო ოთახი 310 მოსწ. ად-  
 გილით.

11. ზესტაფონის რაიონის—12 საკლასო ოთახი 320 მოსწ. ადგილით,
12. სამტრედიის რაიონის—12 საკლასო ოთახი 400 მოსწ. ადგილით,
13. ჭიათურის რაიონის—12 საკლასო ოთახი 420 მოსწ. ადგილით,
14. ბოლნისის რაიონის—7 საკლასო ოთახი 175 მოსწ. ადგილით,
15. გარდაბნის რაიონის—7 საკლასო ოთახი 210 მოსწ. ადგილით,
16. წითელწყაროს რაიონის—7 საკლასო ოთახი 200 მოსწ. ადგილით,
17. ტყიბულის რაიონის—4 საკლასო ოთახი 160 მოსწ. ადგილით,
18. აბაშის რაიონის სკოლებს—3 საკლასო ოთახი 120 მოსწ. ადგილით და სხვ.

სულ მიმდინარე წელს არსებულ სასკოლო შენობებს სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი თანხებიდან მიუშენდა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-საშენებლო ტრესტის და ადგილებზე გამონახული სხვა საშუალებებით 248 საკლასო ოთახი—6450 მოსწავლე ადგილით. კოლმეურნეობების სახსრებით და ძალებით რესპუბლიკის 50 სკოლის შენობას მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის მიუშენდა 179 საკლასო ოთახი 3783 მოსწავლე ადგილით, საშეფო ორგანიზაციების მიერ—86 საკლასო ოთახი 2070 მოსწავლე ადგილით, ხოლო ჭარბი შემოსავლების თანხებიდან—39 საკლასო ოთახი 675 მოსწ. ადგილით. ამის შედეგად, გარდა სახელმწიფო გეგმით აგებული შენობებისა, რესპუბლიკის სკოლებს მიემატა სულ 552 საკლასო ოთახი 12978 მოსწავლე ადგილით.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლების და საბავშვო დაწესებულებათა კაპიტალური რემონტის ჩატარების საქმეში სერიოზული ნაკლებანებები იყო. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში რემონტი უხარისხოდ შესრულდა, ადგილი ჰქონდა თვალის ახვევას ე. წ. მიწერებს. ასე, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატის რემონტისათვის გამოყოფილ 2747 მანეთიდან 659 მანეთი მიწერილი იყო, რაც, როგორც უკანონოდ მიღებული, დაეკავა სარემონტო კანტორას (კანტორის უფროსი ა. მენალრიშვილი, სკოლა-ინტერნა-

აღნიშნულ დარღვევებს, ცხადია, არ ექნებოდა ადგილი, რომ ადგილებზე განათლების განყოფილებების გამგეები და სკოლის და-რექტორები მეტი პასუხისმგებლობით და გულისხმისერებით ეკიდე-ბოდნენ სასკოლო შენობის კაბიტალური რემონტების ხარისხიანად ჩატარების და ამასათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებით გამოყენების საჭირო.

3 8 6 9 0 5 9 8

## 1. განათლების განყოფილებათა გამგეებში:

5) გააუმჯობესონ კონტროლი სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე, არ დაუშვან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება მისი ღირებულების განაღლება და რემონტებისათვის დაშვებული თანხების არადანიშნულებრივ გამოყენება;

ბ) გაითვალისწინონ, რომ რესპუბლიკის სასკოლო ობიექტების სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო მასალების და მოწყობის ბათა ფონდები 1966 წლისათვის გადაცემული აქვს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო კანტორებს, რომლებიც ვალდებული არიან პირველ რიგში შეასრულონ სკოლების რემონტები და არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოები სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტექდოკუმენტაციის მიხედვით;

გ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა მომავალი წლისათვის დროულად მომზადდეს სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის ჩატარებისა და არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებისათვის სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. ეთხოვოს ლანჩხუთის, გარდაბნის, გურჯაანის და ქ. თბილისის ორჯონიშვილის რაიონების აღმასკომებს დამნაშავეთა დასჯის მიზნით განიხილონ, სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხების არადანიშნულებით გამოყენების და მიწერების ფაქტები.

3. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას სისტემატურად შეამოწმოს ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებით გამოყენებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**ზეაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშევარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ.  
 15 იანვრის ბრძანება № 45

ქ. რუსთავის, დუშეთის, ოქლავის, კასპის, მცხეთის, წითელწყაროსა და ხაშურის რაიონების სერვებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ხწავლებაში ოგანიზაციის გამოყენების შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების სერვებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სასწავლო კაბინეტების ნივთიერი ბაზის გამზტკიცების, ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კაბინეტების შევსება ახალი ტიპის ხელსაწყოებითა და საჭირო მასალებით; მტკიცედ დაინერგა არსებული ხელსაწყოების გამოყენებისა და მოვლის ჩვევები, გამახვილდა ყურადღება თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებისა და მოქმედი მოდელების დამზადება გამოყენების საქმეზე და სხვ. ამ ღონისძიებათა შედეგად შესამჩნევად გაიზარდა კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტების რაოდენობა.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების 96 საშუალო სერლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 80 და ქიმიის—72 საშუალო სერლას. ამ მხრივ გამოირჩევა ქ. რუსთავი და ოქლავის რაიონი, სადაც თითქმის ყველა საშუალო და რვაწლიან სერლას აქვს ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები. ამასთან, უკანასკნელ ხანებში სერლებში, წინა წლებთან შედარებით, უკეთ არის მოწესრიგებული კაბინეტებში არსებული ქონების აღრიცხვისა და მათი მოვლა-პატრონობის საქმე.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთი სერლის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგის მასწავლებლები ცდილობენ ამ საგნების სწავლება ახალ ნიადგზე დაყენონ, ზრუნავენ კაბინეტების კეთილ-



შოწყობისა და უახლესი ტიპის ხელსაწყოებით შევსებაზე გამოყენებული აწყობა-რეგულირებისა და სწავლებაში სრულყოფილად გამოყენებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. რუსთავის მე-10, მცხეთის რაიონის, მისაქციელის, დუშეთის რაიონის ფასანაურის, ქ. რუსთავის მე-2 და მე-7 საშუალო სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შუში-ობა.

შემოწმებული სკოლების შასწავლებულთა ერთი ნაწილი გულდასმით ემზადება გაკვეთილისათვის, კითხულობს საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, ფიზიკის კურსის ძირითადი დებულებების სწავლებას უნარიანად უკავშირებს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას, ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ სამუშაოებს, პრაქტიკულებს, სადემონსტრაციო ცდებს და საწარმოო ხასიათის ექსკურსიებს. კარგად მუშაობენ ფიზიკის მასწავლებლები: ბ. ფარჯანაძე (ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლა), ლ. მჭედლიშვილი (კასპის რაიონის მეტების საშუალო სკოლა), ჯ. ნიკურაძე (მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა), თ. კობაიძე (დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: შ. თოფურია და ლ. პავლოვა (ქ. რუსთავის მე-10 და მე-17 საშუალო სკოლები), გ. როსტომაშვილი, დ. აბრამიშვილი და ლ. კალანდაძე (თელავის რაიონის ფშავლის, რუსპირისა და წინანდლის საშუალო სკოლები); ნ კიკვაძე და დ. ტეფანაძე (ხაშურის რაიონის სურამის მე-2 და გაყის საშუალო სკოლები); ნ. მუხიგულაშვილი (დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა), მ. სოჩიაშვილი (კასპის რაიონის ქვემო ჭილის საშუალო სკოლა) და ქ. ბერია (მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებლები: მ. ხუცურაული და შ. ამირანაშვილი (მცხეთის რაიონის გალავნისა და მცხეთის საშუალო სკოლები) და ვ. მაჭარაშვილი კასპის რაიონის ქვემო ჭილის საშუალო სკოლა).

კასპის რაიონის მეტების საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ლ. მჭედლიშვილმა VIII კლასში მოსწავლეებს გასაგებად და დამაჯერებლად აუხსნა ახალი მასალა—ძაბვის ცნება, ძაბვის ერთეულისა და ვოლტმეტრის გადაცემა, რასაც თან ახლდა სათანადო სადემონსტრაციო ცდები; წინასწარ დამზადებული ვოლტ-მეტრის სკალის ნახაზზე მოსწავლეები ავარჯიშა მცირე დანაყოფის განსაზღვრაზე და შემდეგ კი—ვოლტმეტრის ჩვენების წაյითხვაზე. ამ კლასის მოსწავლეებს შესწევთ უნარი მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა. ისინი თავისუფლად ხაზავენ 58

მარტივი ელექტრული წრედის სქემას და მოცემული სქემის მიხედვით ადგენერ წრედებს, დაუფლებული არიან შესწავლილ ხელისაჭიროებულის მუშაობის ტექნიკას.

კარგად იყენებს ფიზიკის კაბინეტს და სათანადოდ აქვს დაყენებული ფიზიკა-ტექნიკის წრის მუშაობა ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ბ. ფარჯანაძეს. აქ მოსწავლეთა ძალებით დამზადებულია მუდმივი დენის კანონების სადემონსტრაციო ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ცდების და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნისას. ასევე თვითნაკეთი ხელსაწყოების საშუალებით ატარებს სადემ-ნსტრაციო ცდებს სასწავლო პროგრამაში ახლად შეტანილი მასალის ნახევარგამტარების თვისებებზე.

მცხეთის რაიონის გალავნის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა (მ. ხუცურაული) V კლასში გასაგებად და დამაჯერებლად ახსნა ახალი გასალა „თესლის გაღივების პირობები“, გამოიყენა წინასწარ მომზადებული ცდა თესლის გაღივებაზე. მან იმ ქილას, რომელშიაც მოხდა თესლის გაღივება, ახალა თავსახურავი და ქილაში შეიტანა ანთებული კვარი, რომელიც ჩაქრა, რითაც დაადასტურა, რომ ქილაში არსებული ქანგბადი მოხმარდა თესლის გაღივებას.

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებაში მოპოვებული ეს ერთგვარი წარმატებები არ ასახავენ ამ საგნების სწავლების მდგრმარეობას ყველა სკოლაში. რიგ საშუალო და განსაკუთრებით რვაწლიან სკოლებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო სასწავლო ბაზა ექსპერიმენტული საგნების სწავლებისათვის. სკოლის ხელმძღვანელობის მიერ მცირე ყურადღება ეთმობა კერძოდ ბიოლოგიის კაბინეტისა და ცოცხალი კუთხის მოწყობის საქმეს. შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების 96 საშუალო სკოლიდან ბიოლოგიის კაბინეტი მოწყობილია 43 სკოლაში; 84 რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 30, ქიმიის—16 და ბიოლოგიის —5 სკოლას. მცირე ფართობებსა და შეუფერებელ სათავსოებშია მოთავსებული თელავის რაიონის კისისხევის (დირექტორი ე. მაისურაძე), ხაშურის რაიონის სურამის პირველი (დირექტორი ა. ტაბიძე), ვაყის (დირექტორი დ. ტეფანაძე), წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის (დირექტორი გ. ბეგლაროვი), მცხეთის რაიონის გალავნისა (დირექტორი ო. მჭედლიშვილი) და ღუშეთის რუსული საშუალო (დირექტორი ა. კობიაშვილი) სკოლების ფიზიკის კაბი-

